# ჩვენი გზა

№ 10

თფილისი

1907

კვირა, 16 სექტემბერი

ცალკე ნომერი 5 კაპ.

გაზეთ „ჩვენი გზა“-ს გამოწერა შეიძლება ყოველ თვის პირველ რიცხვიდან. განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე—10 კ. ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „ჩვენი გზა“-ს რედაქციის კანტორაში ყოველ დღე, კვირა უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდე და საღამოს 5-დან 7-მდე. ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ მცირე წერილები და კორესპონდენციები არ ინახება. ინახება ერთი თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. წერილობით პასუხისთვის საჭიროა საფოსტო მარკები. პირადათ მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე. დილის 12 საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდე, კვირა-უქმეობით—დილის 11-დან 12 საათამდე.

ადრესი: Тифлис, контора редакціи „Чвени Гза“, Великокняжеская № 35.

№ 10 ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 10



კვირას, 16 სექტემბერს, კუკიის წმ. ნინოს ეკლესიაში გადახდილ იქნება წლის წირვა და პანაშვიდი

**თედორე დიმიტრის ძის ჩხობერიძის**

სულის მოსახსენებლათ, რასაც აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ განსვენებულის ამხანაგები. (1—ე—1)



მედიცინის დოქტორი

**ს. ა. ლიური**

საიმპერატორო სამხედრო-საექიმო აკადემიის კლინიკის ყოფილი ორდინატორი **ყურის, ყელის და ცხვირისა** იღებს ყოველდღე ავათმყოფებს დღის 1—2 ს. და საღამოს 5—7 ს. პეტერბურგის ქ, № 10. ტელეფ. № 595.



**ქუთაისის** სამეურნეო სკოლის პედაგოგიური რჩევა ამით აცხადებს, რომ მისაღები ეგზამენები მოსამზადებელ კლასში უკვე გათავდა, ხოლო პირველ კლასში მისაღები ეგზამენები დანიშნულია 24 სექტემბერს. (2—2)


### არჩევნები სახელმწიფო დუმაში

—

თფილისის ქალაქის თვითმართველობა აუწყებს საზოგადოებას, რომ ქ. თფილისის, თფილისის და ბორჩალოს მაზრების ქალაქის ამომრჩეველთა კრება დანიშნულია ადგილობრივ მცხოვრებთა კურიისა—27 სექტემბერს და რუსთა კურიისა კი—30 სექტემბერს. არჩევნები მოხდება პირველ განყოფილებისა (1, 2 და 10 ქალაქ თფილისის ნაწილების და ბორჩალოს მაზრის ქალაქის ამრჩევლების) ზუბალოვის სახელობაზე აშენებულ სახალხო სახლში. მეორე განყოფილების (3, 4, 5 და 9 ნაწილები) ქალაქ თფილისის თვითმართველობის შენობაში, მესამე განყოფილების (6, 7 და 8 ნაწილების და თფილისის მაზრის ქალაქის ამომრჩევლების) ვარშამოვის თეატრში (ავლაბარში). რუსთა კურიის არჩევნები მოხდება ზუბალოვის სახელობაზე აშენებულ სახალხო სახლში.

პირველ განყოფილებაში უნდა იქნეს არჩეული ორი ამრჩეველი, მეორეში და მესამეში სამ-სამი, და რუსთა კურიაში კი თერთმეტი. თანახმად შინაგან საქმეთა მინისტრის დამტკიცებულ ინსტრუქციისა ამრჩეველთა სიები წარმოადგენენ ჩვეულებრივ ფორმატის თეთრ ქაღალდის მთელ ფურცელს ან ნახევარ ფურცელს (იმისდა მიხედვით, თუ რამდენი ამრჩეველი იქნება არჩეული) შედგენილი უნდა იქმნეს რუსულ ენაზე. ამომრჩეველთა სიაში უნდა იქნას ნაჩვენები, როგორც გვარი, სახელი და მამის სახელი იმ პირის, რომელსაც ამრჩეველი ირჩევს, აგრეთვე წოდება, საცხოვრებელი ადგილი და ანუ ამომრჩევლის სიის ნომერი. სიაში არ უნდა იყოს არავითარი შენიშვნა, ნიშანი, აგრეთვე არც ერთ გვერდზე არ უნდა იყოს რამე გასწორებული და ან წაშლილი. თუ ისე არ იქნება სია დაწერილი, როგორც აქაა ნაჩვენები, არ იქნება მიღებული. ზემო მოყვანილი ცნობა ჩაიწერება ამომრჩეველთა სიაში ისე, როგორც ამრჩეველი სამჯობინოთ დაინახავს (ან ხელით ჩაწერს, ან დაბეჭდავს და სხვა) ამრჩეველთა სიები შეუძლიათ შეადგინონ ამრჩევლებმა ან არჩევნების წინადღეებში, ანდა ამრჩეველთა კომისიის შენობაში. ამომრჩეველთა სიები უნდა იქნეს ჩადებული იმ კონვერტებში, რომლებიც დარიგდება ქალაქის თვითმართველობისაგან, ამისთანავე დაიბეჭდება ეს კონვერტები თავისავე წებოთი და არავითარი ბეჭედი არ უნდა იყოს დაკრული. კონვერტში უნდა იყოს ჩადებული მხოლოდ ერთი ამომრჩევლის სია. (3—6.—1)

### ნამესტნიკის მოხსენების გამო.

—

მკითხველს ეხსომება, რომ კავკასიის ნამესტნიკმა, ამ ბოლო დროს პეტერბურგში ყოფნის დროს, უმაღლეს ცენტრალურ მთავრობას წარუდგინა ბარათი, სადაც დასახულია მთელი პროექტი ჩვენი ქვეყნის მომავალ მართვა-გამგეობისა; იქ აღნიშნულია თითქმის ყველა ის საჭირბოროტო საკითხები, ყველა ის საქვეყნო მოთხოვნანი, რომელიც ჩვენმა საზოგადოებრივმა ცხოვრებამ კაი ხანია წამოაყენა და ეხლა ბეჯითათ, ძალუმათ ითხოვს გადაჭრას და დაკმაყოფილებას. პროექტში დასახელებულია მთელი წყება რეფორმებისა, რომელთა განხორციელება კავკასიის უმაღლეს გამგეს საჭიროთ მიაჩნია საქმის საუკეთესოთ წარსამართავათ. სატახტო გაზეთებმა თავის დროზე გვაცნობეს, რომ პეტერბურგის მთავრობამ ეს მოხსენების ბარათი ჯეროვანის ყურადღებით მიიღო, რომ იგი მას შეიმუშავებს და მესამე სახელმწიფო დუმას წარუდგენს განსახილველათ.

პრესას არა ქონია საკმაო ცნობები, მოხსენება არ ყოფილა სავსებით გამოქვეყნებული, რომ შესძლებოდა დასაბუთებული და საბოლოო მსჯავრი დაედო ამ საყურადღებო დოკუმენტისთვის. მარა უკვე გამოქვეყნებული ნაწყვეტებიც საშუალებას გვაძლევს გავითვალისწინოთ განზრახული რეფორმების მთელი სიგრძე-სიგანე. ნამესტნიკის პროექტი ითხოვს: აგრარულ სფერაში—გაუქმებულ იქნას გლეხთა და მებატონეთა შორის დარჩენილი, ეგრეთ წოდებული, დროებით ვალდებულების ურთიერთობანი; ხიზნებს და სახელმწიფო გლეხებს საკუთრებათ მიეცეს ის მიწის ნაჭრები, რასაც იგინი დღეს დროებით ფლობენ. სასამართლო უწყებაში შემოღებულ იქნას ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი; ადგილობრივ მართვა-გამგეობაში—შემოღებულ იქნას საერობო დაწესებულებანი; განათლების საქმეში—მოემატოს სკოლები, სამშობლო ენებს საჭირო ადგილი დაეთმოს*); თფილისში გაიხსნას უმაღლესი სასწავლებელი.

ამ წერილის საგანს არ შეადგენს აღნიშნულ „რეფორმების“ განხილვა. შევნიშნავთ მხოლოდ შემდეგს. ეს ცვლილებანი რომ განხორციელებულიყო ამ 40-დე წლის წინათ, უეჭველათ დიდათ სასიკეთო და მშვიდობის მყოფელი იქნებოდა ჩვენი მხარესთვის, მათი მთაოსნებელიც, ალბათ დაიმსახურებდა ნიჭიერ და ჰუმანიურ სახელმწიფო მოღვაწის სახელს. მარა ეხლა კი ძალიან გვიან არის. ეხლა ასეთი ზერელე ცვლილებანი ვეღარ გაამთელებენ ქვეყნის ღრმა ჭრილობებს. ჩვენს მხარეს მთელი რუსეთის იმპერიასთან ერთად დაუყოვნებლივ ესაჭიროება ერთი ძირითადი ცვლილება: ნახევრათ ფეოდალურ-ბატონ-ყმური ქვეყანა უნდა გარდიქცეს თანამედროვე კონსტიტუციონურ სახელმწიფოთ, რომელიც დაყრდნობილი უნდა იყოს ფართე დემოკრატიულ პრინციპებზე. დემოკრატიული პრინციპებივე უნდა იქნას გატარებული როგორც ადგილობრივ თვითმართველობაში, ისე აგრარულ სფერასა და შრომის მფარველ კანონდებლობაში. ზედმეტათ ჩვენს ქვეყანას, როგორც განსაკუთრებულ კულტურულ-ეროვნულ ერთეულს, ესაჭიროება, რომ წმინდა ადგილობრივ საჭიროება-მოთხოვნათა დაკმაყოფილების საქმეში თვით ადგილობრივი ხალხი იყოს თავისი თავის ბატონ-პატრონი.

ჩვენ გვინდა მკითხველის ყურადღება მივაქციოთ ნამესტნიკის მოხსენების ერთ მხარეს, რასაც ადგილობრივმა პრესამ არ ათხოვა ჯეროვანი ყურადღება. მოხსენების ბარათი, ეხება რა მართვა-გამგეობის საკითხს საზოგადოთ, გამოთქვამს ასეთ აზრს:

„თავისი არსებით გენერალ გუბერნატორის სახელმწიფოებრივი ძალა, რომელიც აღჭურვილია უმაღლესი წრის პოლიციურ უფლებებით, მაგრამ თითქმის უმწეოა შემოქმედებითი მუშაობისთვის, კულტურულ განვითარებისათვის... ამ შემთხვევაში, იარაღის ძალით, რეპრესიებით შეიძლება გარეგანი წესიერება კიდეც დაცულ იქნას პირველ ხანებში, მარა მეტი არაფერი. ხოლო არსებულ მდგომარეობით გამოწვეული უკმაყოფილება უფრო კიდევ გაძლიერდება და დატრიალდება შიგნით ხალხის ცხოვრების გულის სიღრმეში, რაიც ბოლოს, ქვეყნის ნორმალურ და მიზნის შესაფერ მართვა-გამგეობისათვის, შექმნის ახალს და უფრო კიდევ დიდ დაბრკოლებათ“. როგორცა ხედავთ, ეს იგივე ენაა, რასაც ლაპარაკობენ განმათავისუფლებელთა ბანაკში, ეს პირდაპირი და ძირითადი უარყოფაა მთავრობის იმ პოლიტიკის, რომელიც დღეს გაბატონებულია მთელს იმპერიაში. ამის შემდეგ თავის თავათ იბადება საკითხი, როგორ მოხდა, რომ ნამესტნიკის ასეთი თეორეტიული შეხედულება პოლიტიკაზე არამც თუ იოტის ოდენათ არ ატყვია ჩვენი ქვეყნის მართვა-გამგეობას, პირიქით, ცენტრალურ მთავრობისაგან მიღებული რეპრესიების პოლიტიკა აქ უფრო მწვავეთაც მოქმედებს, ვიდრე რუსეთის შიდა გუბერნიებში? ამ საკითხს ეხებოდა ამ დღეებში გაზ. „რეჩი“ განჯაში მომხდარ მშვიდობიან მცხოვრებთა აკლება-აწიოკების გამო. პეტერბურგიდან განჯაზე მიმავალ გრაფ ვარანცოვ-დაშკოვს რომ ადგილობრივ ენახა საქმის ვითარებაო—ამბობს გაზეთი—„მაშინ იგი, შეიძლება, მიმხვდარიყო, რომ იმ ადმინისტრატორებს, რომელნიც უძლურნი არიან თავიდან ააცილონ ხალხს ასეთი ამბები, ადგილი არ უნდა ჰქონდეთ იქ, სადაც საჭიროა ამდენი ჭკუა, ტაქტი და ენერგია, რათა კვლავ მშვიდობა ეღირსოს ღვთისაგან ნაკურთხ და ადამიანებისაგან კი დაღუპულ კავკასიას. მაგრამ გრ. ვარანცოვ-დაშკოვმა მხოლოდ ვაგონის ფანჯრიდან დაინახა განჯა, ხოლო განჯის ამბები კი შესაფერ მოხსენებიდან გაიცნო“. *) ჩვენის აზრით, ასეთი ახსნა საკმაო არ არის. ყოველთვის თუ არა ხშირათ ნამესტნიკმა კარგათ იცის, რაც ხდება მის გარშემო, როგორც მოქმედებენ მისი ხელ-ქვეითი თუ რწმუნებული მოხელენი, მარა ეს სრულებითაც არა სცვლის საქმის ვითარებას. და ეს იმიტომ, რომ ნამესტნიკს არ შეუძლიან აწარმოვოს თავის საკუთარი, დამოუკიდებელი პოლიტიკა, პირიქით იგი მთელ თავის მოქმედებას, მართვა-გამგეობის ყველა წვრილმანებს უნდა უმორჩილებდეს და უთანხმებდეს ცენტრალურ მთავრობის პოლიტიკას. ამას ითხოვს არსებული სახელმწიფო ცენტრალიზაცია. აქედანაც ცხადია, რომ საქმეს არაფერი ეშველება, არაფერი შეიცვლება იმ დრომდე, ვინემ არ შეიცვლება ცენტრი ანუ ცენტრთან დამოკიდებულება.

განსაზღვრულ დეცენტრალიზაციას და თვითმართველობის საჭიროებას მართალია გაუბედავათ, მარა მაინც აღიარებს თვით ნამესტნიკის მოხსენების ბარათი. იგი უარყოფს იმ აზრს, რომ კავკასია დანაწილდეს ცალკე საგენერალ-გუბერნატოროებით, რომელნიც სხვა არაფრით იქნებოდენ განსხვავებულნი, რომელიმე ცენტრალურ გუბერნიიდან, თუ არ მოჭარბებული რეპრესიებით. ამის ნაცვლათ, მოხსენება ითხოვს კავკასია დარჩეს განსაკუთრებულ ერთეულათ, რომელსაც სათავეში ედგება ნამესტნიკი და მასთან არსებული საბჭო, სადაც განსაზღვრული მონაწილეობა ექნებათ „ადგილობრივ საზოგადოებრივ ძალებსაც“, მაგრამ იმავ მოხსენებაში გადაჭრით უარყოფილია ნამდვილ თვითმართველობის პრინციპი. ეს უარყოფა სხვათა შორის კარგათ გამოკრთის შემდეგი სტრიქონებიდან: „არა ნაკლებ სიძნელეს წარმოადგენს განაპირა ქვეყნის ცალკე ადმინისტრატიულ ერთეულებათ დაყოფა, ვინაიდან, მხარეში არსებულ ავტონომისტურ მიმდინარეობათა გამო, სახელმწიფოს ინტერეს არ უნდა შეადგენდეს დაყოფა ცალკე „იაჩეიკებათ“ განსაკუთრებულ ადგილობრივ კულტურულ და ეკონომიურ პირობების მიხედვით, რაიც ცოტათ თუ ბევრათ ხელს შეუწყობდა ადგილობრივ ნაციონალიზაციას“... აი ეს პოლიტიკურ აზრის გამოურკვევლობაც ერთი მიზეზთაგანია იმისა, რომ საქმე ძველებურ კალაპოტში რჩება და რეფორმატორული პოლიტიკა შებოჭვილი ყავს რეპრესიების პოლიტიკას. და ეს იმ ზომამდე, თითქოს „რუსკ. ზნამ.“-გან ნამესტნიკის პოსტზე წამოყენებული კანდიდატები უკვე დიდი ხნიდანვე შესდგომოდენ უმაღლეს თანამდებობის აღსრულებას...

როგორც მთავრობის ყოველგვარი პროექტები, ისე ნამესტნიკის აღნიშნული მოხსენებაც, ერთხელ კიდევ მოგვაგონებს, რომ ხალხის შველა-ხსნა თვით ხალხისავე ხელშია.

---

*) ამ დღეებში რუსეთის გაზეთებმა მოგვიტანეს ამბავი, რომ კავკასიის ნამესტნიკმა არ დაამტკიცა თფილისის საბჭოს დადგენილება რომ ქალაქის სახელოსნო სასწავლებელში სამშობლო ენაზე ყოფილიყო სწავლა.

*) Рѣчь, № 207.

### პოლიტიკური მიმოხილვა.

—

„1907 წ. ივნისის დამდეგს პეტერბურგის სასამართლოს გამომძიებელმა დააპატიმრა 1 კაცი იმისათვის, რომ ის მონაწილეობას იღებდა პეტერბურგის გამომცემელ საზოგადოება „განახლებაში“, რომელმაც გამოსცა ჩემ მიერ შვიდი წლის წინეთ დაწერილი ბროშიურა: „ნუ უბეი“; ამასთან მას ბროშიურის გავრცელებას აბრალებენ“.

ასე იწყებს თავის უკანასკნელ წერილს იასნაიაპოლიანის მხცოვანი ფილოსოფოსი ლ. ტოლსტოი. წერილი, (8 სექტემბერს) ავტორის წინადადებით, მოთავსებულია ევროპის და რუსეთის გავლენიან გაზეთებში. გენიოსმა ავტორმა თავისი მძლავრი სიტყვა ამცნო ქვეყანას. დაუძლურებული ბებერის ხმა მქუხარეთ მოეფინა არე-მარეს. ლ. ტოლსტოიმ მკვლელობის კითხვა ერთხელ კიდევ და სვა კაცობრიობის წინაშე.

სრული ორი წელიწადია, რაც ჩვენში სამოქალაქო ომი დაიწყო. მოქალაქეთა და მთავრობის აგენტების სისხლი განუწყვეტლივ რწყავს რუსეთის არე-მარეს. უკანასკნელ ხანებში მკვლელობამ უმწვერვალეს წერტილს მიაღწია. მთავრობამ პირველი დუმის გარეკის შემდეგ სამხედრო-საველე სასამართლო მოიმარჯვა; ამას მოყვა მეტი გამწვავება და მკვლელობათა გახშირება.

რუსეთის პროგრესიული საზოგადოება არა ერთხელ ცდილა ასეთი ანორმალურ სისხლით შეღებილ მდგომარეობისათვის ბოლო მოეღო, მარა მისმა ცდამ დღემდის ამაოთ ჩაიარა. პროგრესიულ საზოგადოების სუსტ ხმას „ომისა და ზავის“ ავტორის ხმა დაემატა. გასჭრის?

„უკვე ორი წელიწადია ერთმანეთს ჟლეტენ: რევოლიუციონერები თავიანთ მტრებს, მთავრობა თავის მტრებს; ხოცავენ კაცებს, ქალებს, ბავშვებს,—ყველა იმათ, ვისიც მოკვლა სასარგებლოთ მიაჩნიათ“... და ასეთ დროს, „როდესაც მთელი რუსეთი მკვლელობისაგან კვნესის“, განა შესაძლებელია ჩემი ზემოაღნიშნული ბროშიურის აკრძალვაო?“—კითხულობს ტოლსტოი. ოღონდაც, რომ არ არის შესაძლებელი, მარა მხოლოდ იქ, სადაც მთავრობისა და ხალხის უმრავლესობის შორის ხიდი არაა ჩატეხილი. ბიუროკრატია ჩვენში ხიშტებზე ზის და თავის პოზიციის გამაგრება მარტოოდენ ტყვია-წამლით შეუძლია. მხოლოდ ხალხის სურვილების გამომხატველი და აღსრულებელ გამგებს შეუძლიათ ხელი აიღონ სიკვდილით დასჯაზე. ასეთი მთავრობა თვითონ კისრულობს ჯალათობის მოსპობას. კლემანსოს სამინისტრომ შარშან პარლამენტში კანონ-პროექტი შეიტანა, რომელიც კოდექსიდან ერთხელ და სამუდამოთ შლის იმ ადგილს, რომელიც სიკვდილით დასჯას შეეხება.

ლ. ტოლსტოი ანორმალურ მდგომარეობიდან თავის დღს ღწევ საშვალებას „ქრისტიანულ მოძღვრების“ განხორციელებაში პოულობს, ჩვენ კი ნაბოკოვთან ერთად ვიტყვით, რომ ამისათვის საჭიროა „აღმასრულებელი ძალა დაემორჩილოს კანონმდებელს“.

* * *

ექსპროპრიაცია, ძარცვა-გლეჯა რუსეთში საჭირ-ბოროტო დღიურ საკითხათ გადაიქცა. ისედაც აღმოდებულ ჩვენს სამშობლოში საზოგადოების ნაძირალები სარგებლობენ „ამღვრეულ წყლით“ და შიშის ზარს სცემენ მთელ საზოგადოებას. ასეთი მდგომარეობა დიდხანს ვერ გაგრძელდებოდა. ის მავნებელია განმათავისუფლებელ მოძრაობისათვის და ეგრეთ წოდებული „მემარცხენეები“ დღეს თუ ხვალ უნდა აქტიურათ ჩარეოდენ საქმეში. ასეც მოხდა. სოციალდემოკრატებმა თავის ორ სიეზდზე დაგმეს ექსპროპრიაცია, როგორც ბრძოლის წესი. ამას მოყვა ადგილობრივი ორგანიზაციების დადგენილებანი. არმავირის, კიევის, თფილისის და სხვა ს. დ. კომიტეტებმა ექსპროპრიატორები საზოგადოების მტრებათ გამოაცხადეს სოციალისტ-რევოლიუციონერების ცენტრალურმა კომიტეტმა ექსპროპრიაცია ბრძოლის უვარგის საშუალებათ გამოაცხადა. ამ ხანებში საკითხის სასურველათ გადაწყვეტის საქმეში თვით მასსაც ჩაერია. „როგორც ტელეგრამები ვვატყობინებენ, ვილნოში „ექსპროპრიატორ-ანარქისტებსა“ და „შეკავშირებულ მუშებს“ შორის შეტაკება გახშირდა. ოდესაში შავრაზმელებისაგან მცხოვრებლების დასაცველათ შედგა ახალი ორგანიზაცია „მაკკავეი“. ეს ორგანიზაცია თავის წრეში არ ღებულობს ისეთებს, რომელნიც გასვრილი არიან ექსპროპრიაციით. პეტერბურგში მუშების კონსპირატიულ კრებებზე ენერგიული აგიტაციაა გამართული „მახაევცების“ წინააღმდეგ; „მახაევის“ მოწაფეები წმინდა ყაჩაღობას ქადაგებენ“.

თუ კი ექსპროპრიაციის წინააღმდეგ მოძრაობა ასე ფართოთ დაიწყო და მასსამ ენერგიული ბრძოლა გაუმართა მას, ის მალე „ძლიერ შემცირდება“, მისი ძირიან-ფესვიანათ ამოგდება კი მხოლოდ ხალხის სურვილების დაკმაყოფილებას მოყვება.

## ახალი ამბები

—

**არჩევნები.** 14 სექტემბერს მოხდა რწმუნებულების არჩევნები თფილისის მუშათა კურიაში. ყველგან აურჩევიათ რწმუნებულებათ სოც.-დემოკრატები.

✦ **კონფერენცია.** ამ დღეებში დასრულდა კონფერენცია თფილისის მაგარ სასმელთა დაწესებულების მუშათა პროფ. კავშირისა. კონფერენციამ განიხილა 17 კითხვა და ყველა კითხვის შესახებ შესაფერი რეზოლიუცია გამოიტანა.

✦ **დაპატიმრება.** 11 სექტემბერს ღამის 2 ს. პოლიციამ გაჩხრიკა სახლი ტრამვაის მოსამსახურე კონტროლიორის

ნესძისა, საწინააღმდეგო არაფერი აღმოუჩენია. ნემსაძე დაპატიმრებულ იქნა.

✦ **კიდევ დაპატ.** 9 სექტემბერს გოლოვინის პროსპექტზე პოლიციამ დააპატიმრა კონტროლიორი დაუროვი, რომელიც ღამის 11 საათამდის და შემდეგ გაანთავისუფლეს.

✦ გუშინწინ, 14 ენკენისთვეს რკინის გზის მთავარ სახელოსნოში მოხდა რწმუნებულთა არჩევნები. 2283 ამომრჩეველთაგან გამოცხადდა და მონაწილეობა მიიღო 1190 კაცმა არ გამოცხადებულნი „პატრიოტები“ გარდა ერთი-ორი კაცისა. არჩევნები დაიწყო 10 საათ. სახელოსნოს უფროსმა ბ. ყაზბეგმა გახსნა კრება, წაუკითხა დამსწრეთ ცირკულიარი რკინიგზის უფროსის, სთხოვა ამოერჩიათ თავმჯდომარე. ამოირჩიეს ნ. სიმონოვი. ამის შემდეგ ბ. ყაზბეგმა დასტოვა დარბაზი. დაიწყო არჩევნები. წამოყენებული იყვნენ ორი კანდიდატი, 1) სიმონოვი და 2) კუდრიავცევი, რომელნიც უმრავლესი ხმით ამორჩეულ იქნენ.

✦ **არჩევნების შესახებ.** ქალაქის საბჭომ 15 სექტემბერს გაუგზავნა საარჩევნო ბიულეტინები 2-რე საარჩევნო ნაწილის ამომრჩევლებთათვის დასარიგებლათ მოქაულებს 3, 4, 5 და 9 საპოლიციო უბნებისას, 3—918 პაკეთი 4—1447; 5—2,975 და 9—3,437. მასთან საბჭო აუწყებს მოქაულებს, თუ რომ რომელიმე ადრესატი აქ არ იმყოფება, ეს ბიულეტინები დაუყონებლივ უკანვე იქმნეს დაბრუნებულიო.

✦ აგრეთვე საბჭომ გაუგზავნა საარჩევნო ბიულეტინები ბორჩალოს მაზრის უფროსს 73 ცალი რათა ეს ბიულეტენები გადასცეს ყველა ამომრჩევლებს 27 სექტემბრამდის.

✦ **ბიულეტენების დარიგება.** დღეიდან, 16 სექტემბრიდან დაეგზავნებათ ტფილისის ამომრჩევლებს საარჩევნო უწყებები, ვინც არ მიიღებს ამნაირ უწყებას არჩევნების დღემდე მან უნდა გამოაცხადოს ქალაქის საბჭოს საარჩევნო კომისიაში.

✦ **სან. კომ. კრება.** 14 სექტემბერს მოხდა კრება ქალაქის სანიტარული კომისიისა კრებამ მოისმინა რამოდენიმე განცხადება სხვათა შორის ინჟინერ აბელიანისა, რომელიც წინადადებას იძლევა ქალაქის საბჭომ მიიღოს თავის თავზე ქალაქის თვითმართველობამ დააკანონოს დადგენილება, რომლის ძალითაც ყოველი სახლის პატრონი იძულებული იქნება გაიყვანოს კანალიზაცია, სადაც ეს არ არსებობს.

ქალაქის საბჭომ გააკეთოს წყლისაყვანის კრანი არტილერიის ბალკის მცხოვრებთა სახმარებლათ, რადგანაც ადგილობრივი მცხოვრებნი ხმარობენ მტკვრის წყალს სასმელათ ეს კი ერთნაირს საფრთხეს წარმოადგენს მცხოვრებლებისათვის. ოლგინის მოედანზე და ვარდისუბნის მთაზე სახლები გაშენებულ იქნეს ქალაქის მიერ მიკემული პლანით.

✦ **სასამართლო.** 13 სექტემბერს, საღამოს 4 ს. და 30 წ. საოლქო სასამართლო პალატამ გამოიტანა განაჩენი ფოსტა-ტელეგრაფის მოხელეების შესახებ, რომელთა საქმეც ეს ოთხი დღე ირჩეოდა. დამნაშავეთ იქნენ ცნობილნი ი. საყვარელიძე, სიგ. შური, კ. პაული, ალ. შაიკოვი, მიხ. გერმანოვიჩი, ალ. გორსკი არ. ტერ-ისრაელიანცი, სოლ. ალიხანოვი, ალ. ხიზანიანცი და იორდ. რცხილაძე. ციხეში ჯდომა მიესაჯა საყვარელიძეს 6 თვით; შურს 4 თვით; გორსკის, პაულს და შაიკოვს 2 თვით თითოს; გაუპტვახტში ჯდომა ორ-ორი თვით მიესაჯა გერმანოვიჩს, ტერ-ისრაელიანცს, ალიხანოვს და ხიზანიანცს. რცხილაძეს 1 თვით ციხე. კვერკველაძე და ნასიძე აგრეთვე ზემოთ დასახელებულნი გამართლებულ იქნენ იმ ბრალდებიდან, ვითომ რევოლიუციონურ კავშირში მონაწილეობას იღებდენ. პროკურორის შუამდგომლობით ეს პირები ყველა პოლიციის მეთვალყურეობის ქვეშ იქნებიან.

✦ **მკვლელობა.** 15 სექტემბერს დილის 9 საათზე ავლაბარში ერთმა ბოროტგამზრახველმა მაუზერის ტყვიით მოჰკლა ერთი მეწვრილმანე, მკვლელი დაიჭირეს; მას უნახეს მაუზერის რევოლვერი.

✦ **კონცერტი.** დღეს ზუბალოვის სახალხო სახლში გაიმართება კონცერტი ლიტერატურული განყოფილებით. დასაწყისი დილის 11 ნახევარ საათზე. ფასები: 2 მან.—10 კაპეიკამდე.

✦ **შანტაჟი.** ტერ-აბრამოვისათვის შანტაჟ სტებს მიუწერიათ წერილი, სთხოვენ დაუყოვნებლივ გადასცეს მათ 300 მან. წინაამდეგ შემთხვევაში ემუქრებიან სიკვდილს. ქვეშ აწერენ წერილს: ი. ს. ვ. ლ. პ.

✦ **დაცემა.** 14 სექტემბერს, საღამოს 8 ს. მიხაილოვის ქუჩაზე 6 შეიარაღებული უცნობი შეცვივნულან გენ. დოლუხანოვის სახლში, შესვლისთანავე ტელეფონის აპარატი მოუშლიათ. შემდეგ გენერალისათვის ფული მოუთხოვიათ. როდესაც გენერალს უარი უთქვამს, მისთვის რამდენჯერმე ხანჯლის ტარი დაურტყამთ, გენერლიზე ყვირილზე მოცვივნულან მდკმურები. მასთან მისი დენშჩიკი და მოუსწვრიათ ორის შეპყრობა: ილია კერელეიშვილი და დიმიტრი ლომთაძე. მათ უპოვეს რევოლვერი და ხანჯალი, დანარჩენებს 4-ს მოუსწვრიათ გაცევა.

✦ **აფეთქება** 14 სექტემბერს ანნა მირიანოვის სახლში თუმანოვის ქუჩაზე ფიზიკაში ვარჯიშობის დროს აფეთქება მოხდა, რამაც დალეწა ლამფა, სუსტი ჭრილობა მიუღიათ აფეთქებისაგან ვაჟის თევზიევს და მის მოწაფეს თამრო მირიანაშვილს.

✦ **დაცემა.** 14 სექტემბერს საღამოს 5 ს. ორი ბოროტ-გამზრახველი უცნობი შეცვივნილან შარაფანოვის მაღაზიაში და მოუტაციათ 180 მან. და 90 კაპ. როდესაც კასირშას ყვირილი დაუწყია ამ დროს გაქცეულებს გამოჰკიდებიან პოლიციელები და სროლა აუტეხიათ რაზედაც მძარცველებს სროლითვე უპასუხნიათ. სროლის დროს დაჭრილან ორი ოკოლოდოჩნი 9 უბნისა პუჩკოვი და დოვნაროვიჩი მასთან მოუკლავთ შემთხვევით გამვლელი ბაგრატ მუნტიევი. ერთი დამცემთაგანი მაინც შეუპყრიათ გვარათ ვასილი ინასარიძე.

✦ **სწავლის დაწყება.** 17 სექტემბერს დაიწყება სწავლა ოსურ სკოლაში რომელიც იმყოფება ავჭალის ქუჩაზე კულუმბეგოვის სახლში № 29.

## ადგილობრივი პრესა

ჩვენი „მცირე შენიშვნა“ (№ 8) „კაკალ გულში“ მოხვედრია გაზ. „ისარს“. იგი სწერს (პრესაში):

„რაც მართალია, მართალია: „ჩვენი გზის“ შენიშვნა იმის შესახებ, რომ ამ სამი წლის წინათ არ ამოვიღეთ ხმა „მოგზაურის“ წინააღმდეგ, პირდაპირ გულში გვხვდება და გვიორკეცებს სიმწარესა და მწუხარებას“..

გაზეთი მხოლოდ აღნიშნავს თავის დანაშაულობის შემამცირებელ გარემოებას:

„არ მოველოდით, რომ გაჩნდებოდა ისეთი დეგენერატი, რომელიც „მოგზაურს“ დაუჯერებდა და რომლის ბნელ გულში ილიასადმი ასეთი ფანატიკოსური მძულვარება აღიზრდებოდა; მით უმეტეს არ მოველოდეთ, რომ მაშინ მგოსანი ცოცხალი იყო და თვით გასცა „მოგზაურს“ საკადრისი პასუხი“ (კურსივი ჩვენია).

მაგრამ ვინ არ იცის, რომ თუ კი ადამიანი „საკადრის პასუხს“ გასცემს მისკენ მიმართულ „ყალბ ფაქტებსა“ და „ცილის წამებაზე“, მაშინ იგი ხალხის თვალში უფრო მეტათ ამაღლდება, მისი სახელი უფრო მეტათ გაბრწყინდება, ხოლო „ყალბ ფაქტებისა და ცილის წამებების“ გამომტანნი კი დარჩებიან საქვეყნოთ გამასხარებულნი. რაც შეეხება იმას, რომ „გაჩნდებოდა ისეთი დეგენერატი, რომელიც „მოგზაურს“ დაუჯერებდა და სხ. ვინ არ იცის, რომ დეგენერატი იმის დეგენერატია, რომ მას არ მოეპოება ნორმალური ლოღიკა და ამიტომ მის მოქმედებისათვის ვერავითარი ლიტერატურული ორგანო ვერ გახდება პასუხისმგებელი. ამგვარათ, თუ კი გაზ. „ისარი“ არ უღალატებდა ნორმალურ ლოღიკას, იგი არ შეაწუხებდა „მოგზაურს“, იგი მას, ამ შემთხვევაში, ვერავითარ ბრალს ვერ დასდებდა.

გაზ. „ისარი“ აცხადებს, რომ ჩვენ რაც უნდა დავწეროთ და რა აუარებელი ფაქტებიც უნდა გამოვაქვეყნოთ, იგი მაინც არაფერს არ დაიჯერებს, რადგან ჩვენ თურმე ხალხი იმდენათ გვყავს შეშინებულ-შებოჭვილი, რომ მას, რაც გვინდა, იმას ვათქმევინებთ. ეს ისეთი ხეპრე, მდაბალი და პირქუში ინსინუაციაა, რომ მაზე ლაპარაკიც მეტია. ჩვენ არ გამოვეკიდებით ამ ჯურის საპოლემიკო ფანდს, ვიტყვით მხოლოდ, რომ გაზეთის ეს განცხადება, საბოლოო ანგარიშით, იმასა ნიშნავს, რომ ჩვენი მოწინააღმდეგე უკვე „თითს იკაკვავს“ და თავის თავს დამარცხებულათ აღიარებს.

„ისარი“ ეხლა ძალიან ნანობს ჩვენთან გამოკამათებას. ჩვენ თავიდანვე შევნიშნეთ, რომ „ისარს“ არ უნდა ეკადრებინა და განსვენებულ ილიას სახელის გარშემო არ უნდა აეტეხნა ეს კამათი და იმ დღეს, როცა ჯერ მიწაც არ შემშრალიყო ახლათ გათხრილ სამარეზე. ვაფრთხილებდით გაზეთს, რომ იგი შემდეგ მაინც ინანებდა. იმას ეს სინანური უფრო ადრე სწვევია, ვინემ ჩვენ გვეგონა. „ისარი“ აცხადებს:

„საჯაროთ ვაცხადებთ, რომ არა თუ შემდეგში, არამედ ეხლაც ვნანობთ, საშინლათ ვნანობთ, რომ კამათი დავიწყეთ“.

*
* *

საკითხავია რატომ არის, რომ „ისარი“ იმდენათ სძულს სოციალდემოკრატია, რომ მას ავიწყდება ხოლმე თვით ელემენტარული მოვალეობა თვით თავის სათაყვანებელ მწვალებულისადმი. ამის ასახსნელ ერთ-ერთ გასაღებს იძლევა გაზეთის იმავე ნომრის მეთაური წერილი, „ისარი“ სწერს:

„ჩვენის გაზეთის მკითხველებმა იციან, რომ ჩვენ არავითარ მნიშვნელობას არ ვაძლევთ მესამე სათათბიროს... მაგრამ...

მაგრამ აი რა:

„განზრახვა არის და იმედიცა აქვთ, რომ სათათბიროში ყველა განაპირა ქვეყნების, ყველა არა რუსთა, წარმომადგენლები შეერთდებიან და შეთანხმებულ ტაქტიკას შეიმუშავებენ თავიანთ პოლიტიკურ უფლების დასაცველათ... (ბრძოლა 3 ივნისის კანონის წინააღმდეგ). ჩვენი ქვეყნის წარმომადგენელნი, თუ ესენი ს.-დემოკრატები იქნებიან, რასაკვირველია, ხსენებულ კავშირში მონაწილეობას არ მიიღებენ... ჩვენ არ ვამბობთ, რომ ს.-დ. სათათბიროში წინააღმდეგობას არ გაუწევენ 3 ივნისის კანონს; მაგრამ ეს სულ სხვა იქნება: მათი ტაქტიკა განცალკევებული მუშაობა...

„ისარი“ თავს ველარ იმაგრებს და გულწრფელათ აცხადებს თავის გულის-ნადებს.

„ჩვენთვის, ქართველებისათვის, ქართველ ხალხისათვის უფრო უმჯობესია ქართველი უბრალო პროგრესისტი, პროგრესიული მოაზრე და მოღვაწე წავიდეს სათათბიროში, ვიდრე რუსეთის ს.-დ. მ. პ. ერთ-ერთი ადგილობრივი წარმომადგენელი“.

„ისარი“ სავსებით არ უარყოფს სოც.-დემოკრატიის მნიშვნელობას, მარა მას „ერთი უბრალო ქართველი პროგრესისტი“ ათას წილათ ურჩევნია. რათა? რათა და იმიტომ, რომ ს.-დ. როგორც სოციალისტურ პარტიას, თავისი საკუთარი ტაქტიკა და მუშაობა აქვს, განსხვავებული და განცალკევებული, ყველა ბურჟუაზიულ პარტიების მოქმედებისაგან. „ისარს“ და საზოგადოთ, ს.-ფედერალისტებს ისევე სძულთ სოციალდემოკრატია, როგორც ყველა ბურჟუაზიულ პარტიას სძულს სოციალისტური პარტია.

## პარტიების ცხოვრებიდან

ამ ბოლო დროს ფინლიანდიაში მომხდარ კერძო ძარცვა-გლეჯის გამო, რომელსაც ვილაც რუსები ახდენენ „რევოლიუციონურ ექსპროპრიაციების“ სახელით, სოც.-რევ. პარტიის ცენტრ. კომიტეტი თავის-მიერ გამოშვებულ ფურცელში აცხადებს: კერძო ექსპროპრიაციები სასტიკათ აკრძალული აქვთ პარტიის წევრებს თვით რუსეთშიაც, რაც შეეხება ფინლიანდიას, ამ სრულიად დამოუკიდებელ სახელმწიფოში, რუსების ყოველი რევოლიუციონური მოქმედება ადგილობრივ მოქალაქეთა და დაწესებულებათა წინააღმდეგ, მიზნის შეუფერებელიცაა და შეუწყნარებელიც. რუსების-მიერ ფინლიანდიაში ჩადენილი, როგორც კერძო, ისე სახაზინო ექსპროპრიაციები ც. კ-ს მეტათ მავნებლათ მიაჩნია რუსეთის რევოლიუციისთვის და ამის გამო არა თუ გადაჭრით წინააღმდეგია მათი, არამედ სრულიად დარწმუნებულია, რომ მხოლოდ რევოლიუციის უბოროტეს მტრებს—დაქირავებულ პროვოკატორებს და საზოგადოების ნაძირალებს შეუძლიათ მათში მონაწილეობის მიღება თავიანთ ავაზაკურ მიზნების განსახორციელებლათ.

— როგორც ისმის, „უფლებრივი წყობილების პარტიას“ გადაუწყვეტია შეწყვიტოს არსებობა და არ გამოვიდეს არჩევნებზე სხვა პარტიის დროშის ქვეშაც-კი.

**რუსის ხალხის კავშირის** კურსკის განყოფილებას შეუწყვეტია მოქმედება უსაღსრობის გამო. თუმცა განყოფილების თავმჯდომარე შემოწირულებას აგროვებს პომეშჩიკებში განყოფილების აღსადგენათ, მაგრამ პომეშჩიკები ვერაფერ გულუხვობას იჩენენ.

**პროვინციებიდან შრომის ჯგუფს** ატყობინებენ—ბოიკოტი ვერსად თანაგრძნობას ვერ პოულობს, ამის მიუხედავათ ზოგი შრომის ჯგუფელები კვლავ ბოიკოტის დაცვას განაგრძობენ. ცენტრ. კომიტეტთან დაარსებული საგანგებო საარჩევნო კომისია შეუდგა პროვინციაში მუშაობას. მან გამოსცა ფურცლები ყველა ამომრჩევლების მიმართ.

**17 ოქტომბრის კავშირის საარჩევნო დეკლარაცია,** აღნიშნავს-რა 3 ივნისის აქტის „სამწუხარო აუცილებლობას“, ადგინეს დამატება, რომელიც თხოულობს, რომ „მეთოდის და მომენტის“ განსაზღვრა ქალთათვის საყოველთაო უფლების მოსაპოვებლათ, მიენდოს თითეულ სახელმწიფოს ადგილობრივ სოციალისტურ პარტიებს. სხვა სიტყვით ეს იმას ნიშნავდა, რომ სოციალისტურ პარტიებს ნება ეძლეოდათ ავსტრიის ტაქტიკა მიესაკუთრებიათ.

## საერთაშორისო სოციალისტური კონგრესი შტუტგარტში

(შემდეგი, იხ. „ჩვენი გზა“ № 9)

სულ პირველათ გაირჩა მუშათა ინტერნაციონალზე ფრიად საგულისხმო კითხვა შესახებ მუშათა ემიგრაცია-იმიგრაციისა (გადასახლება-გადმოსახლება). ეს კითხვა უკანასკნელ წლებში ძლიერ გამწვავდა. განსაკუთრებით ჩრდილო-ამერიკაში, ავსტრალიაში და სამხრეთ ამერიკაში. როგორც ვიცით, სოციალური მიზეზები აიძულებს უთვალავ მუშებს ევროპაში და აგრეთვე აზიაში დატოვონ თავიანთი სამშობლო და გარდიხვეწონ უცხო ქვეყანაში. ისინი მიილტვიან უმთავრესათ ზემო მოხსენებულ სამ ქვეყანაში. ამ მოძრაობაში უაღრესობს ერთი ფრიად საჭირბოროტო მიდრეკილება: ჩვეულებრივ ჩამორჩენილი და აგრარული სახელმწიფოები იძლევიან ემიგრანტთა უდიდეს ნაწილს, რომელნიც მიილტვიან კულტურულათ დაწინაურებულ სახელმწიფოებში. მათი მოთხოვნილებანი ცხოვრებაში ჯერ კიდევ დაბალ საფეხურზეა, ამიტომ ისინი ხდებიან საშიშარ მეტოქეთ ადგილობრივ მუშების წინააღმდეგ, რომელნიც ამის გამო ხშირათ განსაცდელში ვარდებიან.

ამ გარემოებას კიდევ ამსტერდამის კონგრესმა მიაქცია თავის ყურადღება, მაგრამ ვინაიდან კითხვა მაშინ კიდევ არ იყო ჯეროვანათ შესწავლილი, მან გადადო მისი გარჩევა მახლობელ შტუტგარტის კონგრესამდე. სანამ უკანასკნელი გაიხსნებოდა, ყველა ქვეყნის სოციალისტთა პრესამ დიდი ადგილი დაუთმო ამ კითხვას და მართლაც აუარებელი მასალა შეგროვდა. თვით კონგრესზე წარმოდგენილი იყო სამი უმთავრესი მიდრეკილება: ავსტრალიის და სამხრეთ აფრიკის სოციალისტური პარტიები თხოულობდენ **ყვითელ და ერთა და მოდგმათა მუშების** მათ სამშობლოში გადმოსახლების კანონდებრივ გზით აღკრძალვას. ჩრდილო ამერიკის შეერთებულ შტატების დელეგაციის ერთი ნაწილი ჰილკვიტის მეთაურობით თხოულობს მხოლოდ **ჩამორჩენილ ქვეყნებიდან, განსაკუთრებით ყვითელკანიან,** მუშების დაწინაურებულ ქვეყნებში გადასახლების აღკრძალვას (ყვითელკანიანებათ ის გულისხმობს ჩინელებს და იაპონელებს). მესამე მიდრეკილება ფრანგების და პოლონელების მეთაურობით, თხოულობს ემიგრაცია-იმიგრაციის სრულ თავისუფლებას. ამ მოთხოვნას ერთხმათ შეუერთდენ ბოლოს ინგლისელებიც.

კონგრესი, როგორც თავის თავათ მისახვედრია, ვერ დაუჭერდა მხარს მიმოსვლის შეზღუდვას, მაგრამ იმავე დროს მას არ შეეძლო ყველაფერი დროთა მიმდინარეობისათვის მიენდო და თითონ ხელდაკრეფილი დამჯდარიყო. კომისიამ წარმოადგინა ვრცელი რეზოლიუცია, რომელიც დაწვრილებით ჩამოთვლის იმ შემთხვევებს, რომელნიც დიდათ განირჩევიან ცხოვრების ნორმალურ განვითარებისგან გამოწვეულ ემიგრაცია-იმიგრაციისაგან. ეს გახლავს კაპიტალისტთა ლაუღალავი მისწრაფება აიფუფასიან მუშა-ხელისადმი და აქედან, მათგან შტრეიკ-ბრეხერთა და უკულტურო მუშების ემიგრაცია-იმიგრაციის ფართე ორგანიზაცია. აგრეთვე ტრანსპორტის მეპატრონენი ზღვაზე და ხმელეთზე ხელოვნურათ და თაღლითურათ იტყუებენ შეუგნებელ მუშებს შორ ქვეყნებში, რომ მათ უკანასკნელი გროში გამოსტაცონ ხელიდან. რეზოლიუცია თვლის სოციალისტთა მოვალეობათ ამ მოვლენებს წინ გადაეღობონ, მას მოყავს რამდენიმე მუხლი, როგორც საემიგრაციო აგრეთვე საიმიგრაციო სახელმწიფოთათვის, რომელნიც აღნუსხავენ ამისათვის შესაფერ საშვალებებს. საზოგადოთ კი რეზოლიუცია აღიარებს ემიგრაცია-იმიგრაციას იგივე თანდაყოლილ სენათ კაპიტალიზმისა, როგორიც არიან უმუშევართა არსებობა, ზედმეტი საქონლის დამზადება და სხვა. იგი წინააღმდეგია ამიტომ პრინციპიალურათ თავისუფალ მიმოსვლის, რომელ ეროვნებასაც არ ეკუთვნოდეს მუშა, კანონით შეზღუდვის.

დებატები ამ კითხვის შესახებ არ იყო ცხარე, რადგან მოწინააღმდეგენი ჩქარა შეთანხმდენ. ჰილკვიტმა, რომლისგან ყველაზე შეზღუდვის გამოქომაგებას მოელოდენ, მიემხრო კომისიის რეზოლიუციას. ასევე მოიქცა ავსტრალიელი სოციალისტი კრემერი. „მარქსი და ენგელსი არ არჩევდენ ერთი მეორისაგან სხვა და სხვა ერთა „პროლეტარებს“, განაცხადა იაპონელმა დელეგატმა კატაიამამ, რომელსაც ოვაციებით შეხვდა კონგრესი. რეზოლიუცია ერთხმათ იქნა მიღებული.

კონგრესის მეხუთე და მასთან უკანასკნელი მუხლი ეხებოდა ქალთა საარჩევნო უფლებას. კონგრესს, როგორც ვიცით, წინ უძღოდა სოციალისტ ქალთა საერთაშორისო კონფერენცია, რომელიც პირველათ იქნა მოწვეული გერმანელ ქალების თაოსნობით. მან შეიმუშავა ვრცელი რეზოლიუცია, რომელიც ავალებს ყველა ქვეყნის სოციალისტებს მთელი ძალღონით გამოექომაგონ ქალთა საყოველთაო საარჩევნო უფლებას. ეს რეზოლიუცია კონფერენციის სურვილით წარუდგა კონგრესის კომისიას, რომელმაც პატარა შემოკლებით ერთხმათ მიიღო იგი. საერთო სხდომაზე კომისიის მხრივ მომხსენებლათ გამოვიდა კლარა ცეტკინი.

კამათის არსებით ნაწილს შეადგენდა ავსტრიის სოციალისტთა ტაქტიკა უკანასკნელ მოძრაობის დროს საარჩევნო რეფორმების მოსახდენათ, მათ დროებით უკანა რიგზე დასვეს ქალთა საარჩევნო უფლება, რომ მათ უფრო ჩქარა და ადვილათ მოეპოებიათ მამა-კაცთა საყოველთაო, პირდაპირი, თანასწორი და ფარული საარჩევნო უფლება. ეს მოხდა ავსტრიაში თვით სოციალისტ ქალების თანხმობით. კლარა ცეტკინმა შემცდარათ იცნო ავსტრიელების ტაქტიკა, რადგან, მისი აზრით, იქ ქალების სასარგებლოთაც ადვილი იყო გამოლაშქრება. მისგან დასაბუთებული რეზოლიუცია ავალებს ყველა ქვეყნის სოციალისტურ პარტიებს, რომ ყველგან იქ, საცა საარჩევნო მოძრაობა წამოყოფს თავს, ისინი თავგამოდებით უნდა იბრძოდენ, **როგორც მამაკაცის, ისე დედა-კაცის** საარჩევნო უფლების მოსაპოებლათ.

ავსტრიელებს იცავდენ ვიქტორ ადლერი და ადელეიდი პოპი. მათ წარმომადგენელმა მუსბიმ და გერმანელმა ლილი ბრაუნმა გამოთქვეს ის აზრი, რომ სოციალისტური პარტიები უნდა მიემხრონ ბურჟუაზიულ ქალების მოძრაობას, რომელიც სჯერდება ქალთა შეზღუდულ საარჩევნო უფლებას. კონგრესის დიდმა უმრავლესობამ უარყო ეს წინადადება და თანახმათ რეზოლიუციისა მან აღიარა ქალთა უფლებების საერთო პროლეტარულ ბრძოლის ფარგალში დაცვა. მან უარყო აგრეთვე ავსტრიელების დამატება და მთელი რეზოლიუცია ორიოდე ინგლისელების წინააღმდეგ მიიღო.

ინგლისის ფაბიან სოციალისტთა წარმომადგენელმა მუსბიმ და გერმანელმა ლილი ბრაუნმა გამოთქვეს ის აზრი, რომ სოციალისტური პარტიები უნდა მიემხრონ ბურჟუაზიულ ქალების მოძრაობას, რომელიც სჯერდება ქალთა შეზღუდულ საარჩევნო უფლებას. კონგრესის დიდმა უმრავლესობამ უარყო ეს წინადადება და თანახმათ რეზოლიუციისა მან აღიარა ქალთა უფლებების საერთო პროლეტარულ ბრძოლის ფარგალში დაცვა. მან უარყო აგრეთვე ავსტრიელების დამატება და მთელი რეზოლიუცია ორიოდე ინგლისელების წინააღმდეგ მიიღო.

ყველასათვის მოულოდნელათ კონგრესმა დანიშნულ ვადაში დაათავა წესრიგში მოყვანილი ხუთი მუხლი. ამ მხრივაც დაეტყო კონგრესს, რომ იგი გერმანიაში წარმოებდა: ასე მშვიდათ და გულდადებით ჯერ არც ერთ ინტერნაციონალს არ უმუშავნია. და იმავე დროს შტუტგარტის ინტერნაციონალს არც გარეგნული ელვარება აკლდა. 18 აგვისტოს შესანიშნავი მიტინგი „კანშტატში“ ამოუშლელათ დარჩება დამსწრეთა გულში სამუდამოთ. მასთან ადგილობრივი ამხანაგები ყოველ ზომას

შემდეგ იერიში მიაქვს მემარცხენე პარტიებზე და, განსაკუთრებით, კადეტებზე, და ამ პარტიებს ახვევს თავზე პასუხისმგებლობას მეორე დუმის დათხოვისათვის. დღევანდელ მომენტის დახასიათების დროს დეკლარაცია გვითითებს იმ საფრთხეზე, რომელიც ელის „კონსტიტუციას" რევოლიუციონურ და ინოროდცულ პარტიებისაგან. ოქტომბრისტები გადაჭრით უარყოფენ კერძო მესაკუთრეთა მიწების იძულებით ჩამორთმევას იმ სახითაც-კი, როგორც მას მშვიდობიან განახლების პარტია ცნობს შესაძლებლათ.

**რ. სოც.-დემ. მუშათა პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა** განიხილა პეტერბურგის ს.-დ. ორგანიზაციის ქალაქის საერთო კონფერენციის დადგენილება იმის შესახებ, რომ ს.-დ.-ებმა უარი თქვან არჩევნებში მონაწილეობაზე იქ, სადაც მუშათა უმრავლესობა საჭიროთ ცნობს მონაწილეობა არ მიიღონ არჩევნებში. პეტერბურგის კომიტეტის წარმომადგენელმა განაცხადა—ეს დადგენილება უნდა განიხილოთ არა როგორც საბოლოო გადაწყვეტილება, არამედ როგორც მხოლოდ წინადადებაო. ც. კ-მა დაადასტურა, რომ პარტიული გადაწყვეტილება არჩევნებში მონაწილეობის შესახებ სავალდებულოა, და გააუქმა.

ქალაქის კონფერენციის დადგენილებამ დიდი წინააღმდეგობა გამოიწვია მუშებშიაც, და მრავალ მათ კრებებზე გამოტანილ იქნა რეზოლიუციები მის წინააღმდეგ პროტესტის გამოსაცხადებლათ. ბოლშევიკებიც ყველანი როდი ეთანხმებოდენ ხსენებულ დადგენილებას. ერთ-ერთ რაიონში, სადაც ბოლშევიკები ჭარბობენ, გამოტანილ იქნა რეზოლიუცია, რომელშიაც ნათქვამია—თუმცა რეფერენდუმი სასურველია მნიშვნელოვან კითხვების გადაწყვეტის დროს, მაგრამ ამ შემთხვევაში იგი მიზნის შეუფერებელია და შეუსრულებელიაო.

**ნევის რაიონის სოც.-დემ. კონფერენცია** წინააღუდგა ქალაქის საერთო კონფერენციის დადგენილებას არჩევნების ბოიკოტის შესახებ (თუ ამას მუშათა უმრავლესობა საჭიროთ დაინახავს) და გადაწყვიტა მოხდეს არჩევნები, რომელიც უნდა იყოს არჩევის მსურველი მოხსენებიდან გამოირკვა, რომ დიდ ქარხნებ-ზავოდებში (მაკსველის ქარხნის გარდა) სოც.-რევოლიუციონერებს გაუძლიერებიათ ბოიკოტისტური აგიტაცია, რაიც მუშათა გულგრილობასთან ერთათ საეჭვოთ ხდის არჩევნების რიგიანათ ჩატარებას. წვრილ ფაბრიკა-ზავოდებში, პირიქით, საიმედოა არჩევნების მარჯვეთ ჩატარება.

**კრუშევანის პარტია.** რადგან კრუშევანი გამოურიცხავთ ცენტრის პარტიის კანდიდატთა სიიდან, რომელიც კრუპენსკის, პურიშკევიჩს და სინადინოს შეუდგენიათ, და რადგან მის, „მოკავშირეთა" შორის ნიადაგი გამოცლილია, ამის გამო მას მოწოდება გამოუცია, რომლითაც იწვევს მყურველთ შეერთდენ ახალი „რუსული პარტიის" დროშის ქვეშ და განმარტავს, რომ ამ პარტიის წევრათ ჩაწერა სულაც არ მოითხოვს რუსის ხალხის კავშირის პროგრამის მიღებასო.

**კადეტების დამქაში.** ამ დღეებში პეტერბურგში მოხდა სხვა და სხვა ქარხნებ-ზავოდების მუშათა კრება დუმის არჩევნებზე მოსალაპარაკებლათ. კრებაზე დაესწრენ უმთავრესათ ბოიკოტისტები. მხურვალე სიტყვა ბოიკოტის წინააღმდეგ წარმოთქვა ბოლშევიკების ლიდერმა ლ—მა. ბოიკოტისტები წამდაუწუმ სიტყვას აწყვეტინებდენ მას ბრაზ-მორეული ყვირილით. ორატორს შესძახოდენ: „ძირს კადეტების დამქაში!" ეს სიტყვები თვით ლ—ის მოგონილია მენშევიკების შესახებ და აი, დღეს მისი ყოფილი მომხრეები, რომლებიც აქამდე მხოლოდ მის „პალოჩკას" შეჩერებოდენ ყოველ ნაბიჯის გადადგმაზე, დღეს იგივე პირები იმავე თავიანთ ლიდერს ნათლავენ მისივე მოგონილ დასამცირებელ სახელით.

**რ. ს. დ. მ. პ.-ის ცენტ. კ.-ის** იმ რეზოლიუციის გამო, რომლითაც გაუქმებულ იქნა პეტერბურგის ქალაქის საერთო კონფერენციის დადგენილება არჩევნებში მონაწილეობის შესახებ, პეტ. კომიტეტმა შემდეგი რეზოლიუცია გამოიტანა: „გადავსინჯეთ რა კონფერენციის მონდობილებით კითხვა მომავალ არჩევნებში ს.-დ.-ის ტაქტიკის შესახებ და მოვისმინეთ რა ცენტ. კ.-ის აზრი ამ კითხვის შესახებ, პეტ. კომ. ურთავება ამ აზრს: სავალდებულოთ ცნობს ყველა ს.-დემოკრატებისათვის არჩევნებში მონაწილეობის მიღებას და წინადადებას აძლევს პეტერბურგის ორგანიზაციის ყველა „იაჩეიკებს" გაატარონ ცენტ. კომ.-ის რეზოლიუცია.

## მუშათა შორის

**ხორცზე მომუშავეთა პროფესიონალური კავშირი.** ამ ხუთი ექვსი თვის წინათ ხორცზე მომუშავე მუშები შეუდგენ მთელი პროფესიის მუშების შეკავშირებას. ვამბობთ მთელის, რადგან ერთ ნაწილს მუშებისას, სახელდობრ, ხორცის მჭრელებს ქონდათ თავიანთ შორის რადაც კავშირის მსგავსი. ასეთივე კავშირი ქონდათ სალახებსაც. ესენი ასე ცალკ-ცალკე დექსაქსულნი და ავათ თუ კარგათ აწარმოებენ ეკონომიურ ბრძოლას ხაზეინებთან. ამავე პროფესიის სხვა დარგის მუშები: ჩობნები (მწყემსები) და მეფურგუნეები (ხორცის გადამზიდავნი) სულ ღვთის ანაბარა იყვენ მიტოვებულნი. პრაქტიკულ მუშაობის დროს ხელმძღვანელი მუშები დარწმუნდენ ერთის მხრით იმაში, რომ არალეგალურ კავშირს ბევრი მუშა გაურბოდა და მეორე მხრით იმაში, რომ საჭირო იყო მთელი პროფესიის მუშების ერთ დიდ კავშირში მოქცევა, რითაც გაადვილდებოდა ეკონომიური ბრძოლა ხაზეინებთან, რომლებიც სხვა პროფესიის ხაზეინებზე მეტათ თავგასული და მადა-გახსნილი ხალხია. ამ აზრის განსახორციელებლათ აპრილში შედგა დამფუძნებელი კრება ყველა დარგის მუშებისაგან ყოველ ოცდახუთზე თითო კაცი; ამ კრებაზე გადაწყდა ერთი კავშირის დაარსება „ხორცზე მომუშავეთა პროფესიონალური კავშირის" სახელით. აირჩიეს საგანგებო კომისია, რომელსაც მიანდო, რაც შეიძლება, საჩქაროთ ნებართვის აღება. მაისში უკვე მიიღეს ნებართვა. ხელახალ კრებებზე ყველა დარგის მუშებისაგან აირჩიეს გამგეობა ათი კაცისაგან, რომელიც შეუდგა კავშირის მოწყობას; ნებართვის დაბეჭდვას ოთხ ენაზე: რუსულ, ქართულ, სომხურ და თათრულზე. შეუდგენ ერთდროულად თითო მანეთის მოკრეფას. ივლისში დაიწყეს ყოველთვიური პროცენტების მოკრეფა. სულ პროფესიაში ირიცხება 300 მეტი წევრი: ხორცის მჭრელები—200 მუშა, სალახები—50-მდე, ჩობანი—35 და მეფურგუნე—25-მდე. დღეს კავშირმა გამოუშვა თავის ოთხი თვის კასის ანგარიში, და დაურიგა თავის წევრებს. საწევრო ფულს მუშები უწინაც სიამოვნებით იხდიდენ და, იმედია, ანგარიშის გამოშვების შემდეგაც განაგრძობენ მუდამ თვე ფულის შემოტანას.

საერთოთ კავშირი იმედით შეჰყურებს მომავალს და ენერგიულ პრაქტიკულ მუშაობას იწყებს დღეიდან. საჭიროა მეთაური მუშების მხნე და მოხერხებული მუშაობა.

აქვე მოგვყავს კასის ანგარიში.:

კასის ანგარიში ხორცზე მომუშავეთა პროფესიონალურ კავშირისა თფილისში—1907 წლის პირველ მაისიდან ამა წლის პირველ ენკენისთვემდე.

შემოსავალი:

| | |
|---|---|
| ერთ-დრ. საწ. გადასახ. შემოვიდა | —292 მ. |
| თვიური გადასახ. შემ. ივლ. და აგვ. | —235 მ. |
| შემოწირულება კავშირის სასარგებ. | — 97 მ. |
| სულ შემ. ამ ოთხ თვ. | 624 მ. 37 კ. |

გასავალი:

| | |
|---|---|
| ნებართ. ყოველგვ. ხარჯები | — 70 მ. 50 კ. |
| წესდების დაბეჭდვის | — 68 მ. — |
| საქმის მაწარმ. 4 თვ. ჯამაგ. | —110 მ. — |
| ბილეთ. და კნიშკ. დაბეჭდ. | — 25 მ. — |
| უმუშევრების დახმარებად | — 23 მ. 83 კ. |
| ბეჭედი და ყოველგვარი წვრ. ხარჯები ამ ოთხ თვეში | — 39 მ. 89 კ. |
| სულ გას. ამ 4 თვ. | 337 მ. 22 კ. |
| დარჩა 1 ენკენ. კასაში | 287 მ. 15 კ. |

მეთერთმეტე.

## საარჩევნო კამპანია.

— ვილნოს და გროდნოს გუბერნიაში ადმინისტრაციის „ჭეშმარიტ რუსების" და „ჭეშმარიტ პოლონელების" ზეგავლენით ისე დაუყვია ამომრჩევლები კურიებათ, რომ ებრაელებისათვის ფაქტიურათ თითქმის ყოველგვარი საშუალება წაურთმევია არჩევნების შედეგზე გავლენა იქონიონ. ამის გამო ებრაელთა შეგნებულ ნაწილს აზრათ მოსვლია ბოიკოტის გამართვა, მაგრამ ეს აზრი თანაგრძნობას არ პოულობს ებრაელთა სოც.-დემოკ. პარტიაში, რომელსაც სურს არჩევნები გამოიყენოს სააგიტაციოთ.

— 4 სექტემბერს ღამით მოხდა **ნევის რაიონის მუშათა საარჩევნო კრება**, რომელსაც დაესწრო პეტერბურგის გუბერნიის 200-მდე ფაბრიკა-ზავოდების წარმომადგენლები. ილაპარაკეს სოც.-დემ. და სოც.-რევ. ორატორებმა. უკანასკნელები წინადადებას აძლევდენ მუშებს უარი თქვით არჩევნებზეო. კრებამ მიიღო სოც.-დ.-ების წინადადება—არჩევნებში მონაწილეობა მიიღონ და უარყონ ბოიკოტი.

— რუსის ხალხის **კავშირის „პროვალი"** მუშა და გლეხთა რწმუნებულების არჩევნებში ყველგან საოცარია. თვით მოსკოვის გუბერნიაში, რომელიც ყველაზე უფრო მემარჯვენე გუბერნიათ ითვლება, მუშათა 224 რწმუნებულებში ერთად-ერთია „კავშირის" წევრი; ხოლო გლეხთა 336 რწმუნებულში „კავშირის" წევრია მხოლოდ ორი.

— ნევის გემების ამშენებელ ზავოდის (პეტერბურგშია) ყველა სახელოსნოთა მუშებმა თავიანთ საარჩევნო კრებაზე, ს.-რების ბოიკოტისტურ აგიტაციის მიუხედავათ, დიდძალი ხმის უმეტესობით გადაწყვიტეს მონაწილეობა მიიღონ არჩევნებში. რწმუნებულების კანდიდატებათ დაასახელეს 4 კაცი—ოთხივე ს.-დემ., 3 ბოლშევიკი და 1 მენშევიკი.

— ვიატკის გუბერნიაში გლეხთა რწმუნებულების არჩევნები ბევრგან **კონსპირატიულათ** ხდებოდა, თურმე რადგან გლეხებმა ჩვეულებრივ არც კი იცოდენ, თუ რათ უძახდენ მათ ყრილობაზე. არჩეულთა უმრავლესობა პროგრესისტები და მემარცხენენი არიან. სამ ვოლოსტს ბოიკოტი გამოუცხადებია არჩევნებისათვის, ორში არჩევნები არ მიმხდარა, რადგან გლეხებს ცნობა არ მოსვლიათ. ერთ ვოლოსტში გლეხები რწმუნებულების ასარჩევათ კი არ შეკრებილან თავის ადგილზე, ისინი სხვადასხვა ადგილას წასულან იმ აზრით, რომ ეკლესიის მამათები აერჩიათ, რადგან წინდაწინ ასეთი ხმა დაეგდოთ მათ მტერ-მოყვარეებს.

— ვოლოგდის გუბერნიიდან „ტოვ."-ის სწერენ: **შავრაზმელები** „დაუღალავ" საარჩევნო აგიტაციას ეწევიან. ეპისკოპოსი ავრცელებს თავის დაბეჭდილ შავრაზმულ ფურცელს. რუსის ხალხის კავშირი ყოველ მხარეზე არიგებს თავის პროკლამაციებს, რომელშიაც ლანძღავს და ყალბ წარმომადგენლებს უწოდებს დუმის ყოფილ წევრებს, და მოუწოდებს გლეხებს აირჩიონ მხოლოდ „მოკავშირენი". პროკლამაციას ავრცელებენ სოფლის ადმინისტრაციის შეწევნით. მეორე მხრით, იგივე ადმინისტრაცია ცდილობს ჩამოაშოროს არჩევნებს ყველანი პროგრესიულ ბანაკიდან, რისთვისაც მათ მრავლათ იჭერს ყოველივე ამის მიუხედავათ ხალხი არ ეცემა სულით და „მოკავშირეებს" დამარცხებას უმზადებს.

— ვიატკის **საეპარქიო საეზდმა**, სურვილი გამოთქვა, რომ სამღვდელოებამ ფართოთ გამოიყენოს თავისი საარჩევნო უფლება და გააცნოს ხალხს დუმის მუშაობა.

— **ნ.-ნოვგოროდში.** სოც.-დემ.-ები დამოუკიდებლათ გამოდიან არჩევნებზე.

— **პსკოვში** ადგილობრივი ოქტომბრისტები არ წამოაყენებენ თავის კანდიდატებს, რადგან **შესაფერი კაცები არ მოეძებნებათ.**

— ს.-რ.-ების მიერ გამართულ მიტინგზე მოსკოვში, რომელსაც 300 მდე კაცი დაესწრო, ს.-დემოკრატები მოიწვევდენ მუშებს მონაწილეობა მიიღეთ არჩევნებში. კრებამ დაადგინა **ბოიკოტი** გამოუცხადოს არჩევნებს.

**ნარვის ზასტავის** ქარხნებ-ზავოდების სოც.-დემ. წარმომადგენელთა კრება წინააღუდგა ქალაქის საერთო კონფერენციის დადგენილებას ბოიკოტის შესახებ და დაადგინა მონაწილეობა მიიღონ არჩევნებში.

**ვიბორგის მხრივ** ფაბრიკა-ზავოდების მუშათა კონფერენციაზე ს. რ.-ების და „რაბოჩი ზაგავორის" ჯგუფის წარმომადგენლები თავგამოდებით ამტკიცებდენ ბოიკოტის საჭიროებას. მათ წინააღმდეგ ცხარეთ გაილაშქრეს ს.-დემოკრატებმა, რომლებიც აღნიშნავდენ სახ. დუმის მნიშვნელობას მთელი მუშათა კლასისათვის და აუცილებელ საჭიროებას მუშათათვის აქტიური მონაწილეობა მიიღონ არჩევნებში. კრებამ დიდ-ძალ უმრავლესობით დაადგინა მონაწილეობა მიიღონ არჩევნებში. შემდეგ დაასახელეს კანდიდატები.

პეტერბურგში ბუსელის სტამბაში დაიჭირეს რამდენიმე ათასი ცალი დაბეჭდილი ცირკულიარი **ებრაელთა სახალხო ჯგუფისა**, რომელიც იწვევს ებრაელებს რეაქციასთან საბრძოლველათ და წინადადებას აძლევს ებრაელთა ორგანიზაციებს შეერთდენ, რომ საერთო ძალღონით ხელი შეუწყონ სახ. დუმაში პროგრესიულ კანდიდატების გაყვანას.

**ქ. ლოძში** მუშებს აურჩევიათ 145 რწმუნებული; მათ შორის 77 ნაროდოვეცი, 35 სოც.-დემ.; 15 პოლონელი სოციალისტი, 14 უპარტიო და 5 ბუნდოველი.

---

ხმარობდენ სტუმრების გასართობათ.

ერთმა გარემოებამ, ცოტა არ იყოს, ბევრს დაწყვიტა გული. უმთავრეს კითხვის, მილიტარიზმის შესახებ დებატები კომისებში დასრულდა და ამგვარათ მრავალს არც კი ქონებია ბედნიერ დასწრებოდა ამ შესანიშნავ წუთებს. 886 წევრიანი კონგრესი ვერ შეძლებდა, რასაკვირველია, კითხვების უკომისიოთ გარკვევას, მაგრამ მუშათა პარლამენტი სწორეთ იმით განსხვავდება ბურჟუაზიულ პარლამენტისაგან, რომ მან კომისიების როლი რაც შეიძლება შეზღუდოს და სამაგიეროთ საერთო სხდომების როლი გააფართოვოს. მართალია, შტუტგარტის კომისიები დაახლოებითაც არ გავდენ ბურჟუების კომისიებს: სხდომები საჯაროთ ხდებოდა და მუდამ ხალხის ტევა არ იყო, მაგრამ ინტერნაციონალი მუდამ უნდა ცდილობდეს დიდ და მნიშვნელოვან კითხვების გარჩევის დროს ყველა დელეგატებმა მიიღონ მონაწილეობა და მასთან პროლეტარული მაყურებელი მასსა მოკლებულ არ უნდა იქნეს საშვალებას, რომ მან თავის მოგზავნილებს, ე. ი. დელეგატებს, შესაფერი კანტროლი გაუწიოს.

წერილი გამიგრძელდა, მაგრამ ჯერ კიდევ არ მინდა მოვეშვა მკითხველს! ერთ ადგილას მე დავპირდი მკითხველს ნაციონალიზმს ცალკე შევხებოდი, რადგან მან არაჩვეულებრივი როლი ითამაშა მილიტარიზმის კომისიაში. თავი და თავი საბაბი ამ მოვლენისა იყო ჰერვეს ანტიპატრიოტიზმი და ანტინაციონალიზმი. ბებელმა კიდევ ადრე განაცხადა საჯაროთ, რომ იგი გამოეკამათება ჰერვეს შტუტგარტში. მაშასადამე, იგი უნდა შეხებოდა უთუოთ ჰერვეს ერთ ძირითად შეხედულებას. ჰერვე უკიდურესი მომხრეა ინტერნაციონალიზმის; ყოველი სამშობლო, მისი აზრით, ეკუთვნის მდიდრებს, ღარიბებისათვის კი იგი დედინაცვალია; ჰერვესათვის სულ ერთია საფრანგეთი ბატონობს გერმანიაში, თუ გერმანია საფრანგეთში; ერთი სიტყვით, იგი ექომაგება **საერთაშორისო** პროლეტარულ კლასობრივ ბრძოლას, რომელიც, მისი აზრით, პრინციპიალურათ ეწინააღმდეგება სოციალისტურ პარტიების ნაციონალურ პოლიტიკას.

უეჭველია, ჰერვეს სიტყვები, რამდენათ ისინი თანამედროვე ცხოვრების ინტერნაციონალურ მიდრეკილებას გამოხატავენ, საფუძვლიანია, მაგრამ ეს სულაც არ დაუშლის სოციალისტს, რომ მან ერი, როგორც ერთი მთელი, თავის სამოღვაწეო ფარგალში მოათავსოს. პირველათ მარქსმა და ენგელსმა გამოაცხადეს პროლეტარი „სამშობლოს მოკლებულ" არსებათ, მაგრამ განა ამან დაუშალა მათ, მაგალითათ, პოლონეთის აღდგენას და გერმანიის გაერთიანებას მიმხრობოდნენ? სრულიადაც არა. ეს კითხვა იმდენათ რთულია და მასთან საყურადღებო, რომ მე ვეცდები ახლო მომავალში დამოუკიდებლათ შევეხო მას.

ახლა კი საჭიროა აღვნიშნოთ, რომ ინტერნაციონალის ცნობილი ბელადები შეძრწუნებით შეეგებენ ჰერვეს უკიდურეს აზრებს ეროვნულ კითხვის შესახებ. სამართლიანათ განაცხადა ბებელმა, რომ სამშობლოს ნამდვილი მოპირნახულე პროლეტარიატია და ამიტომ იგი უკანასკნელის კუთვნილებას უნდა წარმოადგენდეს. მისი აზრით, სანამ რომელიმე ერი სხვა ერის ბატონობის ქვეშ იმყოფება, იგი ბუნებრივ აუცილებლობით ესწრაფვის თავისუფლებისადმი და კლასობრივი ბრძოლა, სამწუხაროთ, ხშირათ უკანა რიგზეა მიგდებული. ნაციონალურ განხეთქილებაში, მისი აზრით, დაინტერესებულია გაბატონებული კლასები, რადგან იგი აბნელებს მუშათა კლასობრივ შეგნებას. ბებელი დასძენს მასთან, რომ რუსეთსაც მოელის მომავალში ეროვნული გამწვავება. როზა ლუქსემბურგმა ერთხელ შეაწყვეტინა ორატორს უთანხმოების ნიშნათ (რუსეთის შესახებ), მაგრამ იგი ამ შემთხვევაში ერთად-ერთია, რომელიც რაღაც თანდაყოლილ გაუგებრობით ეპყრობოდა და დღესაც ეპყრობა ეროვნულ კითხვას.

ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა ჟორესის სიტყვამ ამ საგანზე. თითოეული ერი, მისი აზრით, წარმოადგენს ძვირფას საკუჭნაოს, სადაც ინახებიან კაცობრიობის ცივილიზაციის მთავარი ელემენტები. „ჩვენ სულაც არ გვინდა ერის დანგრევა ან მოსპობა, ჩვენ გვინდა მისი გასოციალება, გასაზოგადოებრივება", წამოიძახა უებარმა ორატორმა გაწიწმატებულათ და დამსწრენი ტაშის გრგვინვით შეეგებენ ამ სიტყვებს. ეს შეხედულება გაატარეს თავიანთ სიტყვებში ვაიანმა, ვანდერველდემ, ადლერმა და სხვებმა.

ერთხელ კიდევ ხაზს ვუსვამ იმ გარემოებას, რომ ინტერნაციონალი ერთი გოჯითაც არ გადაცილებია თავის ადრინდელ თვალსაზრისს ეროვნულ კითხვის შესახებ. მისგან ასე ცხარე დაცვა ეროვნულ დამოუკიდებლობისა გამოიწვია **პირველ რიგზე** ჰერვეს უკიდურესობამ, რომელიც საფუძვლათ უდევს მის ანტიმილიტარიზმს, ამიტომ უკანასკნელის დარღვევა მხოლოდ პირველის დარღვევით შეიძლებოდა. რასაკვირველია, ამ დემონსტრაციის შემდეგაც არ დაიშლიან ბურჟუაზიული პარტიები ცილისწამებას სოციალდემოკრატიაზე, ვითომც იგი სამშობლოს მოღალატე იყოს. დეე ილაყბონ, პროლეტარიატი **თავის ნაციონალურ და ინტერნაციონალურ** მოვალეობას მაშინაც კი ასრულებს პირნათლათ, როცა მისი მტერნი პატრიოტიზმის ქურქში ბრჭყვიალა ბაჯაღლოებს გულისხმობენ.

დასასრულ კიდევ ერთი რამ, რომელიც, შეიძლება ითქვას, ყველაზე უფრო ღირსშესანიშნავია. შტუტგარტის კონგრესმა ნათლათ დაგვანახვა, რომ საერთაშორისო პროლეტარიატი თანდათან ადგება მის პირვანდელ მოძღვართაგან, მარქსი და ენგელსისგან, ნაანდერძევ გზაზე. ამ მიდრეკილებამ ყველაზე წინ იჩინა თავი ინგლისის და საფრანგეთის მუშათა მოძრაობაში. გულის ამტკივებელ სურათს წარმოადგენდა, როცა ინგლისის საპარლამენტო მუშათა პარტია, რომელშიც ირიცხება ერთ მილიონამდე ტრედუნიონისტები, ასე დაბეჯითებით თხოულობდენ მაკდონალდის პირით მუშათა ინტერნაციონალზე დაშვებას. კონგრესმა ხელმეორეთ მიანდო ამ კითხვის გარჩევა თავის მუდმივ ბიუროს. არა ნაკლებ სასიხარულო იყო საფრანგეთის ოპორტიუნისტების ჟორესის მეთაურობით კლასობრივ ნიადაგზე დადგომა. მათ საჯაროთ განაცხადეს ჟორესის პირით, რომ კლასთა შორის დამოკიდებულებანი **თანდათან მწვავდებიან**, რომ თანამედროვე ცხოვრების ღერძს წარმოადგენს ორ ერთი მეორესთან შეურიგებელ კლასთა, პროლეტარიატის და კაპიტალისტებ შორის ბრძოლა. ამ მოვლენის პირდაპირი შედეგი გახლდათ კონგრესისგან მილიტარიზმის შესახებ ისეთ რეზოლიუციის მიღება, რომელიც **შესამჩნევათ არყევს** გერმანიის სოციალდემოკრატიის ჰეგემონიას (მეთაურობას) მუშათა საერთაშორისო კონგრესზე. ეს სულაც არ მოასწავებს გერმანიის სოციალდემოკრატიის შესუსტებას, არამედ სხვა სახელმწიფოთა მუშათა მოძრაობის **კლასობრივ იდეებით გაჯდენთვას და გაძლიერებას**. რუსეთის მუშათა მოძრაობა მომავალში კიდევ უფრო განამტკიცებს ამ სასიხარულო მიდრეკილებას. აქვე უნდა აღინიშნოს ვანდერველდეს და ამხანაგების მარცხნით ლტოლვილება.

მომავალი საერთაშორისო კონგრესი დანიშნულია დანიის სატახტო ქალაქ კოპენჰაგენში.

ა. ჩ.

**ქ. ვარშავაში.** ქარხნებ-ზავოდებში არჩეულ იქნა მუშათაგან 70 რწმუნებული — ყველანი სოციალისტები.

— ნოვო-გოროდის გუბ. ნიჟნე-ვიქსუნის ზავოდში მუშები ისე დამთვრალან არჩევნების დღეს, რომ ძლივს იცნობდენ ერთმანეთს. ასე მოქცეულან ისინი მეორე დღეს არჩევნების დროსაც. როგორც მაშინ, ისე ეხლაც ეს მუშები რწმუნებულის აურჩევლათ დარჩენილან. მეორე ზავოდის — ვიქსუნის — მუშებს, თუმცა ესენიც მთვრალები ყოფილან, მაინც მოუხერხებიათ სამი რწმუნებულის არჩევა რომელთაგან 2 უკიდურესი მემარცხენეა, 1 უკიდურესი მემარჯვენე.

**ქ. ტომსკში** ს.-დ. კომიტეტს შეიარაღებულ სტრაჩნიკის ჯგუფის დაკლიმებს, ზოგი გაჰხაულით ძლიერ, რადგან კადეტებთან ტექნიკურით შეთანხმება.

**ქ. პენზაში** რაზინის ქარხნის მუშებს ბოიკოტი გამოუცხადებიათ არჩევნებისათვის.

**ბესარაბიის გუბერნიაში** არჩევნებზე წვრილ მესაკუთრეთა გამოუცხადებლობის მთავარი მიზეზი ის ყოფილა, რომ მეტათ შემცირებულია მათ-მიერ ასარჩევ რწმუნებულთა რიცხვი და ამასთან მათ ასარჩევათ საჭირო იყო სიარული 40—55 ვერსის მანძილზე.

**რ. ს.-დ. მ. პ-ის პეტერბ. კომიტეტის** აღმასრულებელმა კომისიამ გამოაცხადა პარტიის წევრთა საყურადღებოთ, რომ იმ სამრეწველო დაწესებულებებში, სადაც წამოყენებულია პარტიულ კანდიდატების ოფიციალური სია, ყოვლად შეუწყნარებელია სხვა ს.-დ. კანდიდატურების წამოყენება, რადგან ეს არევ-დარევს პარტიულ საარჩევნო კამპანიას და ჩაშლის პარტიულ კანდიდატურებს. კომისია მოაგონებს ამხანაგებს, რომ თუ ვინიცობაა უპარტიო ან რომელიმე სხვა ჯგუფებმა ს.-დემოკრატები წამოაყენეს ოფიციალურ ს.-დ. სიის წინაამდეგ, პარტიის წევრები უეჭველათ ვალდებული არიან მოხსნან თავიანთი კანდიდატურა.

**მემარცხენეთა ბლოკი** პეტერბურგში არჩევნების პირველ საფეხურზე მაინც წელს აღარ ეწყობა, რადგან სოც.-დემოკრატებს, სრულიად რუსეთის კონფერენციის დადგენილების თანახმათ, შეუძლიათ შეთანხმება მოახდინონ სხვა პარტიებთან მხოლოდ არჩევნების მეორე საფეხურზე, მოსალოდნელ ხელმეორე კენჭის ყრის დროს. პროგრესიულ ამომრჩევლებს განზრახვა აქვთ წამოაყენონ ისეთი სია, რომელშიაც შეტანილი იქნებიან ყველა მემარცხენე პარტიების პირველი კანდიდატები, მაგრამ ასეთი განზრახვა მტკიცე თანაგრძნობას ვერ პოულობს მემარცხენე პარტიებისაგან. შრომის ჯგუფი, რადგან სოც.-დემოკრატებს ვერაფერზე ითანხმებს, მზათ არის შეადგინოს. ორ ნაროდნიკულ პარტიისდა პროგრესიულ-ამომრჩეველთ ბლოკი, მაგრამ ასეთ ბლოკზე უარს ამბობენ პროგ. ამომრჩევლებიც და სახ. სოციალისტებიც.

# რუსეთის ამბები

**თავდასხმა გრაფ ლევ ტოლსტოიზე.** სტახტო ქალაქის გაზეთებს ატყობინებენ, რომ გრ. ლ. ტოლსტოის, მისი მოღვაწეობის 50 წლის იუბილეის დღეს, ღამით, მამულში თავს დასხმიან ვიღაც ბოროტ-განზრახველნი და სახლზე სროლა აუტეხიათ. სროლა ორჯერ გამეორებულა.

**„ზემსკი ნაჩალნიკის“ დატუსაღება.** ქ. ბარისოვში დაუტუსაღებიათ ყოფილი „ზემსკი ნაჩალნიკი“ (პოლიციური თანამდებობაა), ანგერი, რომელსაც პოლიტიკური დანაშაული ბრალდება.

**მოხერხებული აფერისტი.** პეტერბურგში ერთი ვიღაც გაიძვერა აფერისტი პოლიციას დაახლოვებია, თავი დიდათ კეთილსაიმედო კაცათ გაუცვნია და კარგა ხნის განმავლობაში მოჭორილი ამბები უზიდნია მისთვის, სხვათა შორის—ერთი ჟანდარმთა პოლკოვნიკისათვის, მაგალითათ, ერთხელ შეუტყობინებია: ამა და ამ ადგილას ექსპროპრიაცია მზადდებათ, მეორეჯერ—ვარშავის რკინის გზაზე მატარებლების დაჯახებას აპირებენო. და სხ... ასეთი „ძვირფასი ცნობების“ მოწოდებისათვის და ახალ-ახალ ცნობების მოსაგროვებლათ პოლიციას გულ-უხვათ უძლევია ფული აფერისტისათვის. ბოლოს-კი ყველაფერი გამორკვეულა და აფერისტი მისი ძმათურთ დაუჭერიათ.

**დიდ-მნიშვნელოვანი ბრძანება** გამოუცია სამხრეთ-აღმოსავლეთის რკინის გზის მოსამსახურეთათვის; ამ ბრძანების ძალით მოსამსახურეებმა „ჩესტი“ უნდა გაუკეთონ ხოლმე გზის უფროსს. ბრძანებაზე ნაწილის უფროსს მიუმატებია: „შენიშნული მაქვს, რომ ბევრი დაბალ მოხელეთაგანი უფროსებს ისე აძლევენ სალამს, როგორც თავის კარგ ნაცნობებს, ან ისე, თითქო ბუზს იგერებდენ ცხვირზე. მომავლისათვის ვალდებულებათ ვხდი სალამი ცხადათ და გარკვეულათ აძლეონ ხოლმე უფროსებს“.

**ჩვეულებრივი ამბავი.** პეტერბურგის მახლობლათ თავის მამულში ცხოვრობდა ვინმე საბლინსკი თავის ვაჟიშვილით. მათ ამას წინათ სახლიდან გაუგდიათ ვიღაც არამზადა მდგმური. არამზადას არც უცდია, არც უცხელებია და შურის საძიებლათ შეუტყობინებია, სადაც ჯერ არს, რომ საბლინსკის ვაჟს სახლში იარაღის საწყობი და თოფის წამლის სარდაფი აქვსო. საკმარისი იყო ეს განცხადება, რომ ხსენებულ მამულში სამხედრო ექსპედიცია გაეგზავნათ სახლის გასაჩხრეკათ და საშინელ დამნაშავის დასაჭერათ. ექსპედიცია ღამით შემოერტყა სახლს. უმანკოს მოუკრავს თუ არა ყური რაღაც ხმაურობისათვის, უფიქრია მძარცველები დაგვეცნენ თავზეო, და აუტეხნია სროლა. სროლას მოყვა სროლა, უმანკოს შემოლევია პატრონები და ხმამაღალი ყვირილით—არაქა მიშველეთო! გაქცეულა, მაგრამ წამოწევიან მას, დაუჭერიათ და წაუყვანიათ პეტერბურგში. გაჩხრეკის დროს უნახავთ სანადირო თოფები, რომლებზედაც აღმოჩნდა მთავრობის ჯეროვანი ნებართვა. ამის მიუხედავათ უმანკო დაუპატიმრებიათ და, ვინ იცის, რამდენს სხვა უკაცრავათ ადვილათ გაუშვებენ.

**ჯარიმა თუ სატუსაღო.** კონსერვატიულ გაზ. „ს.—პეტერბ. ვედომ.“-ის რედაქტორს თავადს ე. უხტომსკის, როგორც „რუსკ. ზნამია“ იუწყება, უმჯობინებია „ადმინისტრაციის ხელში მიეცა თავისი თავი“ დასატუსაღებლათ, ვიდრე გადაეხადა ჯარიმა 1000 მან., რომელიც დაადეს მას „კრამოლნიკურ“ წერილის დაბეჭდვისათვის. თუ დიდ და მდიდარ გაზეთის რედაქტორს და ისიც „კნიაზს“ ვერ მოუხერხებია ჯარიმის გადახდა, რა უნდა ქნან წვრილ და ღარიბ გაზეთების რედაქტორებმა, რომლებზედაც ჯარიმები პანტასავით ცვივა?

**უმაღლესი მადლობა.** ხელმწიფე-იმპერატორმა მიიღო მოგილიოვის ეპისკოპოსისმიერ მირთმეული წიგნები: „კრამოლა და რევოლიუცია“ და სხ. და ობერ-პროკურორის უქვეშევრდომილეს მოხსენებაზე საკუთარი ხელით ინება წარწერა: „გულითად მადლობას ვუცხადებ ეპისკოპოს სტეფანს“.

**რუსის ხალხის კავშირი და „სფერები“.** გაზ. „რეჩს“ სარწმუნო წყაროდან აუწყებენ, რომ ამ ბოლო დროს „სფერებში“ მატულობს „რუსის ხალხის კავშირის“ გავლენა. ამასთან ერთათ იმავე სფერებში მატულობს მტრული განწყობილება ებრაელების მიმართ.

**სამინისტროები და გენერალ-გუბერნატორი.** ტომსკიდან გადმოსახლებული პროფესორი ტირასპოლსკი, თუმცა მის წინაამდეგ აძრული საქმე უკვე მოუსპიათ, მაინც კიდევ არ დაბრუნებულა ტომსკში. თვით სახალხო განათლების სამინისტროს უშუამდგომლებია მის დასაბრუნებლათ. არც შინაგან სამინისტროს წინააღმდეგი არაფერი აქვს მისი დაბრუნების, მაგრამ ტომსკის გენ.-გუბერნატორს არა სურს თურმე ტირასპოლსკის დაბრუნება და ეს უკანასკნელიც ადგილიდან ვერ იძვრება.

**უმაღლეს სასწავლებლებში.** პეტ. უნივერსიტეტის სტაროსტების საბჭომ გამოაქვეყნა დეკლარაცია, რომლითაც მოიწვევს სტუდენტებს თავი შეიკავონ „გამოცხადებითი წესით“ კერძო კრებების გამართვისაგან და მოთმინებით უცადონ სტუდენტთა საერთო კრებას, რომელიც ნება-დართულ იქნა უნივერსიტეტის რექტორისაგან და 11 სექტემბრისათვის დანიშნა.

— პეტერბურგის პოლიტეხნიკურ ინსტიტუტის სტუდენტთა კერძო კრებამ განიხილა კითხვა 11 ივლისის წესების შესახებ. სტაროსტების საბჭოს, რომელშიც ს.-რ-ები და ბოლშევიკები უმნიშვნელო უმცირესობას შეადგენენ, წინადადება მისცა კრებას გამოიყენოს „ლეგალური საშუალებანი“ და ამასთან შეეცადოს ყოველი ღონისძიებით გააფართოვოს ამ საშუალებათა ფარგლები. ატყდა გაცხარებული კამათი, რომელმაც 3 საათს გასტანა. ს.-რ-ების მიერ წარდგენილი რეზოლიუცია 11 ივლ. წესების უყურადღებოთ დატოვების შესახებ უარყოფილ იქნა და კრებამ მიიღო მენშევიკური რეზოლიუცია, გამოტანილი სტაროსტათა საბჭოს-მიერ. კამათში მონაწილეობას იღებდნენ თითქმის მარტო მემარცხენე პარტიები, მემარჯვენეებს სულ არ ულაპარაკნიათ.

**საგანგებო დაცვა სამხედრო წესების მაგივრათ.** ქ. ეკატერინოსლავში, ეკატერინოსლავის და ვერხნედნეპროვის მაზრებში, აგრეთვე სოფ. ამურსა და ნიჟნედნეპროვსკში არსებულ სამხედრო წესების მაგივრათ, შემოღებულ იქნა საგანგებო დაცვის წესები; ამასთან ეკატერინოსლავის გუბერნატორს აღნიშნულ ადგილების შესახებ მიენიჭა მთავარმართებლის უფლებანი.

პეტერბურგიდან გადასახლებულთა რიცხვი აგვისტოს განმავლობაში უდრის 4,000 კაცს.

**ექვსი წლის ბალღი და შტაბს-კაპიტანი.** ქ. კიევში მიხეილის ქუჩაზე მიმავალ შტაბს-კაპიტანს პ—ს წინ შეხვედრია 6 წლის ვაჟი, კიევის საგუბერნიო გამგეობის მოხელის შვილი და აფიცრისათვის „ჩესტი“ გაუკეთებია. კაპიტანს ეს ბირად შეურაცყოფათ მიუღია, ბავშვისათვის საყელოში ხელი უტაცნია, აუწევია ზევით და შემდეგ მაგრათ დაუნარცხებია ქვა-ფენილზე. ბავშვის ტირილზე მოვარდნილ ვიღაც დედაბერს რამდენიმე მკაცრი სიტყვები მიუხლია კაპიტანისათვის. ამ უკანასკნელს უძვრია რევოლვერი და ის იყო უნდა დაეცხლა, მაგრამ რევოლვერმა უმტყუნა. ქალის ყვირილზე მოვიდა პოლიცია და კაპიტანი უჩასტკაში წაიყვანა.

**ვილნოში გაზეთების რედაქტორებს** კატეგორიულათ აეკრძალათ ბეჭდონ რაიმე ცნობები სტუდენტების კრებების შესახებ.

**სიმღერისათვის დაჯარიმება.** ვიატკის გუბ. ს. ნოლინსკში გადასახლებულის დასაფლავების დროს „მარსელიოზის“ მღერისათვის გუბერნატორს 500 მანეთით დაუჯარიმებია 2 გადასახლებული, 3 საერობო მოსამსახურე, ერთი გიმნაზიის მასწავლებელი და 3 გიმნაზისტი. ჯარიმა შეიძლება შეიცვალოს დატუსაღებით 3 თვის ვადით.

**ტუსაღების ცემა.** ნიკოლაევის მაღნებში ტუსაღებს მუშაობის დროს სცემენ რეზინებით. სხვათა შორის, ძალზე აუდასავთ მეორე დუმის დეპუტატათ ხამყოფი დატუსაღებული კაბაკოვი. პროკურორი უყურადღებოთ ტოვებს ყოველგვარ საჩივრებს.

**მუშათა შორის.**

ქ. ლოძში მოკლულ მექარხნის ყველა მუშები—1000 კაცი და მთელი საქარხნო ადმინისტრაცია დაუტუსაღებიათ. ადგილობრივი გაზეთების სიტყვით დატუსაღებულთა ერთი მესამედი ადმინისტრატიული წესით გადასახლებული იქნება რუსეთის შიდა გუბერნიებში. 48 კაცი დაჭრილია.

— ლუბლინში მოხდა პოლონეთის შაქრის ზავოდების მუშათა პროთკ. კავშირის დელეგატთა სიეზდი, რომლის პირდაპირი მიზანია—ნარდათ მუშაობის გაუქმება და შემნახველ კასების დაარსება.

— ქ. ლოძში მოხდა სართველ ქარხნების მუშათა დელეგატების თათბირი, რომელმაც გადაწყვიტა მოეწყოს რიგებულ იქნას სამუშაო ქირა მიუხედავათ შესაძლებელ გაფიცვისა ან ლოკაუტისა. რამდენიმე ქარხანა უკვე გაიფიცა.

— მოსკოვის ბეჭდვითი საქმის მუშათა ბრძოლაში ხაზეინების წინააღმდეგ ჩაერია ს.-დ. პარტია. მუშათა უმრავლესობა, რომელიც მომხრეა მუშათა პროფესიების უპარტიო შეერთების, წინააღუდგა პარტიის ჩარევას და ამ ნიადაგზე საქმე ძალიან რთულდება.

— 8 სექტემბრისათვის პეტერბურგში დანიშნული კრება ბეჭდვითი საქმის მუშათა საზოგადოებისა გრადონაჩალნიკმა აკრძალა.

— ბეჭდვითი საქმის მუშათა საზოგადოების ცენტრ. საბჭოს მბეჭდავთა კავშირებისაგან (რუსეთის სხვადასხვა ადგილებიდან) ცნობები მისვლია იმის შესახებ, რომ მთელ რუსეთში (კავკასიისა და ციმბირის გარდა) მბეჭდავთა შორის უმუშევრობა არსებობს. იმავე საბჭოს მიერ შეკრებილ ცნობებით პეტერბურგში სასტამბო საქმის ყველა დარგებში 1000-მდე მუშ. უმუშევრათაა დარჩენილი.

# დეპეშები

(პეტერბურგის დეპ. სააგ.).

14 სექტემბერი.

**არჩევნები**

**პეტერბურგი.** სააგენტოს ცნობებით, 13 სექტ. სოფლის ყრილობებმა აირჩიეს 26 გუბერნიაში 6663 რწმუნებული ამათგან რუსთა კავშირის წევრი 15; უფლებრივ წყობილების პარტიისა 8; ოქტომბრისტი 4; მშვიდობიან განახლების პარტიისა 3; კადეტი 41; ტრუდოვიკი 8; გლეხთა კავშირის წევრი 4; სოციალდემოკრატი 68; სოციალისტ-რევოლიუციონერი 15; მუსულმანი 34; ნაციონალისტი 8; ნაროდოვეცი 108; მონარქისტათ ნაწოდები 612; მემარჯვენე 1845; ზომიერი 532; მემარცხენე 569; სოციალისტი 6; პროგრესისტი 48; უპარტიო 1640; უცნობი პარტიისა 1075.

წვრილ მემამულეთაგან არჩეულია 2205 რწმუნებული; ჭეშმარიტი რუსი 35; ოქტომბრისტი 53, კადეტი 92, სოც.-დემ. 1, ნაროდოვეცი 154, ნაციონალისტი 24, მონარქისტათ წოდებული 147, მემარჯვენე 711, ზომიერი 21, მემარცხენე 46, პროგრესისტი 25, უპარტიო 428, უცნობი პარტიისანი 462.

მუშათაგან არჩეულია 689 რწმუნებული. ჭეშმარიტი რუსი 1. ოქტომ. 2; კადეტი 16, ს.-რევ. 24, სოც.-დემოკრატი 99, მემარჯვენე 55, ზომიერი 135, მემარცხენეთა თანამოაზრე 8, ნამდვილი მემარცხენე 134, პროგრესისტი 13, უპარტიო 103, და უცნობი პარტიის წევრი 64.

**პეტერბურგი.** 14 ენკენისთვეს წინათ არჩეულ წვრილ მემამულეთა რწმუნებულებს მიემატა 672. აქედან 6 ოქტ. 38 მათი მოაზრე, 31 კადეტი; 1 ს. დ. 108 ნაროდოვეცი. 78 მონარქისტათ წოდებული, 198 მემარჯვენე; 56 უპარტიო. 114 უცნობი პარტიისანი.

მემამულეთაგან მიემატა 35 რწმუნებული: 1 კ. დ. 8 ს. დ. 9 მემარჯ. 6 მემარც. 10 უპარტიო.

გლეხთა რწმუნებულებს მიემატა 1507. 16 ოქტომ. 30 კადეტი; 2 ტრუდ. 11 სოც. დემ. 2 ს. რ. 17 ნაროდნიკი 70 მათი თანამოაზრე; 51 მონარქ. 315 მემარჯ. 86 ზომიერი; 118 მემარც. 6 პროგრ. 1 ლიბერალი, 638 უპარტიო; 138 გამოურკვეველი.

**ირკუტსკი.** სადგურ ტახნოიზე მოკლეს ჟანდარმი და დასჭრეს ერთი სალდათი.

**სიმფეროპოლი.** მარტენის კანტორაში შევიდა 8 კაცი, მოიტაცეს 1500 მან. ერთი ცხენი, პრიკაშჩიკი და კასირი.

**პეტერბურგი.** შინაგან საქმეთა სამინისტრომ დაამტკიცა დადგენილება, რომლის მიხედვით სასამართლოში მიცემულ იქნება სუჯანის საერობო გამგეობა.

**გროდნო.** სოფ. ნიკიტენკოში დაიწვა 73 მოსახლე. ზარალი 40,00 მანეთს აღემატება.

**კელცი.** ძველ ვარშავის ქუჩაზე აღმოაჩინეს იარაღის საწყობი სოლქო სამხედრო რევოლიუციონური ორგანიზაციისა. ხელში ჩაიგდეს 3 ყუმბარა, 10 ბრაუნინგი, 5 მაუზერი და 20003 პატრონა.

**პენზა.** მოკლეს გზაზე მიმავალი ინჟინერი სახაროვიჩი. პენზის რკინის გზის დეპოს უფროსი.

**ლოძი.** მოკლეს მემანქანე თამაშევსკი.

**ტაშკენტი.** სამი ტყვიით დასჭრეს რკინის გზის სახელოსნოების უფროსი რანბერგი.

**ტობოლსკი.** 11 სექტ. ქალაქიდან 15 ვერსის მანძილზე გაძარცვეს ფოსტა. მოკლეს ორი ფოსტალიონი და ცხენი. წაიღეს 60,000 მანეთი.

**ხ ო ლ ე რ ა.**

**ყაზანი.** სამი დღის განმავლობაში მთელ გუბერნიაში ავათ გახდა 48 კაცი, მოკვდა 9.

**კრასნოიარსკი.** ხოლერამ აქაც იჩინა თავი.

**სამარა.** ეპიდემიის დაწყებიდან ავათ გახდა 375, მოკვდა 200 კაცი.

რედაქტორ-გამომცემელი
**იოსებ ზ. გიორგობიანი**


# განცხადებანი

## თფილისის ნოქართა

ურთიერთ შორის დამხმარე საზოგადოების გამგეობა სთხოვს საზოგადოების წევრებს მობრძანდენ ორშაბათს, 17 სექტემბერს, საღამოს 7 საათზე, გამგეობის შენობაში (განოვის ქ. სახლი ფრიდონოვისა № 11). წლიურ საზოგადო კრებაზე შემდეგ კითხვების გადასაწყვეტათ:
1) განხილვა და დამტკიცება ანგარიშისა და ბალანსის 1906—1907 წ.წ. შემოსავალ-გასავლის დამტკიცება; 2) არჩევნები გამგეობის 4 წევრისა; 3) არჩევა გამგეობის 4 კანდიდატისა; 4) არჩევა სარევიზიო კომისიის 4 წევრისა; 5) განილვა მატერიალური კითხვების და გადაწყვეტა და 6) განხილვა და დამტკიცება შეცვლილ და დამატებულ საზოგადოების წესდებისა.

ამასთანავე, ახალი წესდების განხილვისთვის საჭიროა, რომ კრებაზე დაესწროს არა ნაკლებ წევრების ორი მესამედისა. ვინიცობაა თუ კანონიერი რიცხვი წევრებისა არ შედგა, ხელმეორე კრება დაინიშნება პარასკევს, 21 სექტემბერს, საღამოს 7 საათზე იმავე შენობაში. კრება კანონიერათ ჩაითვლება რამდენი წევრიც უნდა დაესწროს.

(1—ფ—1)

# ავადმყოფებს და სუსტებს „სპერმატინი“

თუ თქვენ დასუსტებული ხართ ფიზიკურ ან გონებრივ მუშაობით, თუ ჯანი გაიტეხეთ, ნერვები დაისუსტეთ ან ესა თუ ის სენი გჭირთ, სასოწარკვეთილებას ნუ მიეცემით, არის „სპერმატინი“. იგი სასურველ შვებას მოგცემთ. მას არ შეიძლება მედიკამენტი ვუწოდოთ, რომელიც ერთ რაიმე ადგილზე მოქმედებს, არა! ეს ნივთიერება სრულიად უვნებელია, იგი ცხოვრების ესენციაა, იგი ძალის შომმატებელია. „სპერმატინი“ მოქმედებს სისხლზე და აახლებს მას, აშორებს რა მავნე ელემენტებს, ჰხვდება რა იქ, სადაც უჯრედები ორგანიზმში რაიმე სენის ან სიბერის გავლენის ქვეშ იმყოფება, „სპერმატინის“ ნაწილები, ჯანმრთელობის დარაჯნი, იწყებენ ნაყოფიერ მუშაობას უჯრედების აღსადგენად, აწვდიან მას ახალ სისხლს და ახალ ძალას და ამით შეძლებას აძლევენ ბრძოლისას როგორც სენთან, ისე ყველაფრის განმანადგურებელ დრო-ჟამთან. „სპერმატინი“ შედეგია ბრაუნ-სეკარის შესანიშნავ აღმოჩენისა. ჰშველის ყველაფერს: სისხლნაკლებობას, ძალის სისუსტეს სიბერეში, მარაზმს, დაუძლურებულ ნერვიულ სისტემას, შამაკაცის სიუძლურეს, გადაჭარბებულ დაღლილობას გონებრივ და ფიზიკურ მუშაობის დროს, ონანიზმის შედეგს და წითელ ქარს, სიფილისს, სურავანდს, დამბლას, სქესობრივ მოჭარბებულ ურთიერთობის შედეგს, ხერხემლის ტვინის სატკივარს, ჭლექს, ქარებს, ქრონიკულ მუცლის შეკვრას, ბუასილს და სხვას. ეს საშუალება საუკეთესო ნაყოფს იძლევა.

**ავადმყოფთა წერილები.**

„მ. ხ. ბ. ახობაძევ! თითმის მთელი ხუთ ი წელი ვიტანჯებოდი სისხლ-ნაკლულევანებით. უკანასკნელს წელიწადს ნერვები ძალიან ამეშალა. რაც დრო გადიოდა, უარესათ ვხდებოდი და მაკლდებოდა ჯანი, დამეკარგა მადა ჭამისა, ძილი და ენერგია. დამიწყო ფეხებმა ტკივილი, თავის ტკივილი. ამ ხუთის წლის განმავლობაშიდ ვღებულობდი სხვადასხვა წამლებს—გამოწერილს სხვადასხვა ექიმებისაგან, მაგრამ ამათ ჩაიარა წამლობამ და დავკარგე მორჩენის იმედი. ამ დროს გავიგე, რომ თფილისში იყიდება წამალი ყოველგვარ ავათმყოფობისა—„სპერმატინი“ ბატონ ახობაძესთან, წარმომადგენელთან მოსკოვის ივანოვის ლაბორატორიისა. მოსკოვის ქუჩ. № 4. ვიყიდე ერთი ფლაკონი და ვიწყე მისი ილება. ერთის კვირის განმავლობაში ვიგრძენი სატკივრის შემსუბუქება, გავთავისუფლდი ყველა იმ ავათმყოფობისაგან, რომლითაც ვიტანჯებოდი ხუთ წელიწადს. იმედი მაქვს, რომ სპერმატინი მომანიჭებს ჩემს დაკარგულს ჯანს. ამით დავივიწყებ ჩემს წარსულ უბედურებას, თუ რომ გადამარჩენს ექიმების რეცეპტებს და ვიზიტებს, ჩემთვის უსარგებლოს. პატივის ცემით **ვ. მნაცაკანოვისა**“. თფილისი, 22 აგვისტო.

„მ. ხ. ბ. **ივანოვ**! სიტყვა ვერ გამომიძებნია მადლობის გამოსაცხად ებლად თქვენის სასწაულთ-მომქმედ „სპერმატინისთვის“. 10 წელზე მეტს ვიტანჯებოდი ძალისისუსტით, გულის ფრიალით, ხველებით, ნერვების დაუძლურებით. იქამდე მივედი, რომ თავის მოკვლა განვიზრახე. ერთ წუთს მოსვენება არა მქონდა, ყველაფერი მაბრაზებდა, სულ მცირე რამეც. ყველაფერზე ვტიროდი, „სპერმანის“ ორი ფლაკონის მიღების შემდეგ მხნედ ვიგრძენ თავი, სიმშვიდე მომეფინა, გული დამიმშვიდდა, ძილი და მადა დამიბრუნდა, ერთის სიტყვით—სულ განვახლდი. ყველა ამისთვის გულწრფელად გმადლობთ და ღმერთს ვვედრები თქვენთვის. თქვენი პატივისმცემელი **ნ. ბოსსი**. მოსკოვი, მე-2 მეშჩანსკაია, ს. პოლიაკოვისა, № 11, 2, № 21. 24 ნოემბერი 1906 წ.“.

„მ. ხ. ბ. **ივანოვ**! სიამოვნებით ვაცხადებ, რომ ი. ნ. ივანოვის ლაბორატორიის „სპერმატინმა“ დიდი შვება მოგვცა მე და ჩემ ცოლს ნერვების მოშლისა და ტანჯვის დროს. მოსკოვის ბავშვთა სოფიის საავადმყოფოს მეაფთიაქეს თანაშემწე **ს. კიუმენკერ**. 19 აპრ. 1907 წ.“

„ივანოვის „სპერმატინის“ ლაბორატორიაში („სპერმინი“). მ. ხ. მე ვიტანჯებოდი დიდი ხნის ბუასილით და ნერვების დაუძლურებით, აგრეთვე მიკანკალებდა ხელები. ვცადე თქვენი „სპერმატინი“ და თუმცა წამლობის დროს გარემოება ხელს არ მიწყობდა, მაინც ვამოწმებ, რომ ჩემზე მან კარგად იმოქმედა: განვახლდი და გამოვკეთდი. გადავწყვიტე ვისარგებლო მეც და ჩემმა ოჯახობამ. იგი საუკეთესო სამამაგრებელი საშუალებაა. პატივისცემით **ს. ნ. ივანოვი**. მოსკოვი, როგოჟსკაია, 3 პერ., ს. ივანოვისა, 1 მაისი 1907 წ.“.

„სპერმატინი“ განვლილი წლის ბოლომდე ვრცელდებოდა ამ სახელით „სპერმანი“ ნ. ნ. ივანოვი და ამხ. სახელით, ეხლა-კი, ნ. ნ. ივანოვის სიკვდილის შემდეგ, იგი მზადდება იმის ძმის ვ. ნ. ივანოვის ლაბორატორიაში რეცეპტის შეუცვლელად. „სპერმატინ“-მა ნ. ნ. ივანოვისამ, დღეს კი, „სპერმატინმა“ ი. ნ. ივანოვისამ დაიმსახურა აუარებელი სამადლობელი წერილი, ოქროს მედალი და უმაღლესი ჯილდო რუსეთში, ლონდონში, პარიზში, და ბრიუსელში.

უფრთხილდით სიყალბეს და მიბაძვას. წიგნაკები უფასოდ. ფასი ერთი ფლაკონისა 2 მ. 40 კ. გაგზავნა ერთიდან 4 ფლაკონამდე 40 კ. 5-დან 10-დე 65 კ. შუა აზიაში ორჯერ ძვირია აღმოსავლეთ ციმბირში—სამჯერ. გამოწერა შეიძლება ფოსტით, მხოლოდ წინდაწინვე უნდა გამოიგზავნოს ბე ფოსტის მარკებით ან ფულით—მესამედი ფასისა.

**წარმომადგენელი კავკასიისთვის ი. გ. ახობაძე.** თფილისი, მოსკოვის ქუჩა, გევისა № 4. **უბეოდ საქონელი არ იგზავნება.** (0—1)


მსწრაფლმბეჭდავი ამხ. „სორაპანი“ მადათოვის კუნძული, შუხრახსკის სახლი № 1.